708
1999 N2
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძეგლის მეგობარი



თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ანდრია აფაქიძე
მაია ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ვახტანგ ბერიძე
მალაქია დვალი
პარმენ ზაქარაია
მარიამ ლორთქიფანიძე
ოთარ ლორთქიფანიძე
დავით ლომიტაშვილი
გივი პაპალაშვილი
ვახტანგ შამილაძე

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

გარეკანზე [illegible]ერთი, IX–X სს.
ფოტო ნ. [illegible]ლის

ინგლისური ტექსტი მოამზადა მარინე ყენიამ
დაკაბადონეს [illegible]ია კევლიშვილმა და დიმიტრი უჩანეიშვილმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, შავთელის ქ. 5/7
ტელ: 98 87 94
93 36 18

708
1999
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდი
Georgian fund for protection of historical and cultural Monuments

# ძეგლის მეგობარი

№2 (105)

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

1999 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული კულტურა: პრობლემები და პერსპექტივები

## პირველი სამეცნიერო კონფერენცია

„ძეგლის მეგობრის“ სპეციალური ნომერი ეძღვნება ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდის ინიციატივით ორგანიზებულ კონფერენციას.

რომან აფაქიძე

თსუ ისტორიის ფაკულტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

21-336

# კულტურის კრიზისის თეორიის კრიტიკისათვის

XX ს.-ის განმავლობაში ინტელექტუალებს არ შეუწყვეტიათ საუბარი დასავლური კულტურის კრიზისზე. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რაში შეიძლება მდგომარეობდეს დასავლური კულტურის კრიზისი, უნდა გავერკვეთ, რაშია დასავლური კულტურის არსი.

დასავლური კულტურის არსებობის მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გარკვეული სოციოკულტურული სისტემები, რომლებიც ყალიბდებოდნენ ერთ ძირითად ფასეულობასთან მიმართებაში. მაგალითად, შუა საუკუნეების დასავლური კულტურის სახე განისაზღვრებოდა ერთი უმაღლესი ფასეულობით – ღმერთი. ამ პერიოდის (VI–XIII სს.) დასავლური კულტურის სოციოკულტურული სისტემა შეცვალა ასევე დასავლური კულტურის სხვა სოციოკულტურულმა სისტემამ, სადაც უკვე უმაღლეს ფასეულობას ღმერთი კი არ წარმოადგენდა, არამედ ადამიანი, რომელიც თავის თავში იდეალურის განხორციელების შესაძლებლობას ატარებდა. დაიწყო ახალი პერიოდი–ჰამლეტის, დონ–კიხოტის... შედეგი ამ ახალი ძვრებისა დასავლურ კულტურაში იყო გერმანული კლასიკური იდეალიზმის ადამიანი, რომელიც თავის თავში ატარებს ღმერთსაც და დემონსაც, ფიხტეს უკიდურესი სუბიექტივიზმი და ნიცშეს ზარატუსტრა–ადამიანი–ზე–კაცი. ეს ტენდენცია შეიძლება ფორმულირებულ იყოს ოსკარ უაილდის ფრაზით – „საგნები მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ჩვენ მათ ვხედავთ"...

როგორც დავინახეთ, დასავლურ კულტურაში გარკვეული სოციოკულტურული სისტემები იცვლებოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი სწორედ რომ „დასავლური კულტურის" სისტემებად რჩებოდნენ. ისმის კითხვა: რა არის ის დასავლური იდეა, რომელიც ამ, ერთი შეხედვით, ურთიერთდაპირისპირებული სისტემების დასავლურობას განაპირობებს? ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ ევროპული კულტურის გარიჟრაჟზე უნდა ვეძიოთ, როცა ჯერ კიდევ ისახებოდა ევროპელი ადამიანის კულტურული ტიპი. ეს უნდა იყოს მარტივი ფორმის, ყოვლისვე დასავლურის მომცველი იდეა, რომელიც დღიდან მისი ფორმირებისა გამოჰყვება საუკუნეებს და აგვიხსნის ცნობიერების (ეპოქათა მენტალიტეტის) ცვლილების კანონზომიერებებს.

ჩვენი აზრით, ასეთ, დასავლური კულტურის ყველა პერიოდის გამამთლიანებელ იდეას წარმოადგენს დელფოში, აპოლონის ტაძარზე ამოკვეთილი მოწოდება – „შეიცან თავი შენი". თვითშემეცნება თვითდამკვიდრების იდენტურია და დასავლელი ადამიანიც მისი კულტურისაგან (ნებისმიერი სოციოკულტურული სისტემის დომინანტობის დროს) სწორედ თვითდამკვიდრების შესაძლებლობის საშუალების მიცემას მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნებისმიერი დასავლური სოციოკულტურული სისტემა იმ დრომდე მოქმედებს, სანამ ინარჩუნებს ეფექტურობას. როგორც კი ირღვევა შინაგანი ბალანსი და ვერ ხერხდება



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითდამკვიდრება ერთ სოციოკულტურულ ფასეულობათა სისტემაში, იწყება კრიზისი და ჩნდება აუცილებლობა ახალი ფასეულობითი სისტემის წარმოქმნისა. მაგალითად, VIII ს-ის ევროპელი ადამიანი თვითდამკვიდრებას ახდენდა ღმერთის უმაღლეს ფასეულობასთან მიმართებაში. მას სწამდა, რომ არსებობს მკაცრად განსაზღვრული კოსმიური წესრიგი, სადაც ყოველ წვრილმანს ჰქონდა მინიჭული საკუთარი ადგილი, მათ შორის ნებისმიერ განსაზღვრულ პიროვნებესაც... რწმენას (რწმენის უზენაესობას) ძირითადი ორიენტირები ადამიანის გარეთ ჰქონდა, მისი გონებისათვის მიუწვდომლად სახავდა. მოგვიანებით ამ ორიენტირებმა ადგილი შეიცვალეს და უშუალოდ ადამიანის არსებაში დაიდეს ბინა. ამიერიდან ადამიანი ღმერთთან მიმართებაში კი არ იმკვიდრებდა საკუთარ ადგილს, არამედ ღმერთის უძებნიდა ადგილს საკუთარ თავში და თვითდამკვიდრებასაც მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში ახდენდა.

კრიზისული მდგომარეობები კულტურაში ხშირად იმით გამოირჩევიან, რომ ფასეულობათა არამყარობის შეგრძნება ქმნის გაღიზიანებულობის გრძნობას. ამის შედეგია ძიება ახალი ფორმებისა. თან მონაცვლეობა ასეთი სისტემებისა არ არის ყისიერი აქტი და ცნობიერების რღვევა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს. საზოგადოება ძირითადად ორ ნაწილად იყოფა: ერთნი – ეს საზოგადოების უდიდესი ნაწილია – ცდილობენ ადრე არსებული ბალანსის ნებისმიერი გზით აღდგენას, ხოლო მეორენი – უმცირესი ნაწილი – ახალი ფორმის ძიებაში არიან. ადრე სუბკულტურის სახით არსებული სოციოკულტურული სისტემები აცხადებენ პრეტენზიას საყოველთაოობასა და უნივერსალურობაზე, მუშავდება ახალი იდეოლოგიური დოქტრინები. ბოლოს ნათელი ხდება, რომ ადრეული წესრიგის აღდგენის ყველა ცდა ამაოა. ასეთ მდგომარეობას მოსდევს განცხადებები სამყაროს დასასრულზე, კულტურის სიკვდილზე (ადრე ხშირი იყო აპოკალიფსის წინასწარმეტყველების ცდები) და სხვ.

სანამ ამ მრავალ სოციოკულტურულ სისტემათაგან ერთ-ერთი გაბატონებულ ადგილს დაიკავებდეს, არსებობს სოციოკულტურულ სისტემათა პლურალიზმი, რასაც თანაარსებობას ვერ ვუწოდებთ კონფლიქტური ხასიათის გამო.

ჰოლანდიელმა ისტორიკოსმა ი.ჰაიზინგამ კულტურის კრიზისზე მსჯელობისას ერთი მეტად დროული კითხვა დასვა: გვაქვს თუ არა ჩვენი დროის კულტურის კრიზისის იდენტური კრიზისი დასავლური საზოგადოების ისტორიაში? მართლაც, საკმაოდ საინტერესო იქნებოდა დაგვედგინა, განსხვავდება თუ არა ეს კრიზისი ადრეული კრიზისებისაგან.

1918 წ. ო.შპენგლერის წიგნის „ევროპის დაისი-ს“ გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანიაში. სულ მალე წიგნის მთელი ტირაჟი გაქრა მაღაზიებიდან და მისი მრავალჯერ გამოცემა გახდა საჭირო. ომში დამარცხებული გერმანიის სულიერ განწყობას იდეალურად ეთანხმებოდა ამ წიგნის პათოსი. საფრანგეთსა და ინგლისში, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს, ამ წიგნს ზომიერი ინტერესით შეხვდნენ. წიგნის ძირითადი იდეა – დასავლური კულტურის სიკვდილის წინასწარმეტყველური განჭვრეტა იყო. შპენგლერის თანახმად, დასავლური კულტურა სიბერის ხანაში შევიდა და ცივილიზაციური (შემოქმედებისგან დაცლილი) ფორმით ცოტა ხნის არსებობის შემდეგ ის დაიღუპება. წიგნი გერმანიაში ნაცისტების პარტიის ქვეყნის სათავეში მოსვლამდე იყო პოპულარული, რის შემდეგაც ის დაივიწყეს. ეს ბუნებრივიცაა- პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიაში ადრე არსებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სხვ. ინსტიტუტები ვეღარ ფუნქციონირებდნენ. გერმანელი ხალხის ცნობიერებას სულ ცოტა ხნის წინ უდიდესი

დარტყმა მიაყენეს. დაინგრა ძველი ოცნებები, ადრეული ორიენტირები არსად ჩანდა – ტიპიური კრიზისის მდგომარეობაა. ასეთ დროს არ შეიძლებოდა ნებისმიერი გერმანელის გულს არ მოხვედროდა შპენგლერის წინააპოკალიფსური პათოსი. ტექნიკის განვითარებას არ შეუძლია შემოქმედი სულის ჩაკვლა და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, სელინჯერი თავის მოთხრობებს კომპიუტერის მეხსიერებაში ჩაწერს, თუ კალმით დაწერს ფურცლებზე. ასეთი ლოგიკის თანახმად, შემოქმედებითი თვალსაზრისით საუკეთესო ხანა ბატის ფრთის პერიოდი ყოფილა... (ცივილიზაციის (შპენგლერისეული გაგებით) დადგომა, ჩვენის აზრით, სულაც არ მოასწავებს კულტურის სიკვდილს.

მეტ-ნაკლებად უფრო დამაჯერებელია ხორტეგა-ი-გასეტის „მასების ამბოხის" თეორია, რომლის თანახმად მასა, როგორც ორგანიზებული ძალა, ისტორიის ავანსცენაზე XIX-XX სს. მიჯნაზე გამოდის. მაგრამ მასა, როგორც ორგანიზებული ძალა, რომის იმპერიასა და ანტიკურობაზე რომ არაფერი ვთქვათ, 1989 წ.-დან საკმაოდ მკაფიოდ ჩანს. 1789 წლიდან 1848 წლამდე ბარიკადებს პარიზი არაერთხელ დაუფარავთ, საკმაოდ სიმბოლურად ჩანს ამ თვალსაზრისით ბასტილიის აღებაც. გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, მასობრივი კულტურა სულაც არ არის XX საუკუნის პროდუქტი. მასობრივი კულტურის მიერ ელიტარული ხელოვნების წალეკვის საფრთხის შესახებ მსჯელობას სერვანტესთანაც კი ვხვდებით. მეტიც, სერვანტესთან ნახსენებია „გასაყიდ საგნად" შექმნილი ხელოვნება. ასე რომ, კომერციული კულტურაც ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორც თვითონ დასავლური კულტურა.

ჩვენის აზრით, შეგრძნება თითქოს დასავლური კულტურის ეს უკანასკნელი კრიზისი უკვე ნაცნობ კრიზისთაგან ორგანულად განსხვავებულია და რაღაც უფრო მეტს უნდა მოასწავებდეს, ვიდრე სოციოკულტურული სისტემების უბრალო ცვლაა, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მოხდა არა ახალი ფორმების, არამედ ახალი ცნებების აღმოჩენა. ერთადერთი განსხვავება ამა და სხვა კრიზისებს შორის მხოლოდ შედეგშია: თუ ადრე ერთი გაბატონებული სოციოკულტურული სისტემა იცვლებოდა მეორით, დღეს ერთი შეიცვალა მრავლით. დღეს არ არსებობს ერთი გაბატონებული სოციოკულტურული სისტემა. ასეთმა სისტემებმა თანაარსებობა ისწავლეს და ყველა ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, თვითდამკვიდრება მოახდინოს იმ ფასეულობათა სისტემის შიგნით, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია. სუბკულტურების სიმრავლეც ჩვენს საუკუნეში სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული.

ფაქტია, რომ დღეს მოდაშია აბსოლუტური სიახლის იდეა, სიახლის, რომელიც არ იქნება კარგად დავიწყებული ძველი. ინტელექტუალებმა (ორტეგა-ი-გასეტი) ასეთ იდეად აიღეს მოდერნის იდეა, მდგომარეობა, როცა „ყველა მკვდარი მართლა მკვდარია". ბოდლერის ფრაზამ – „ყველგან კარგია, სადაც მე არ ვარ" წარმოშვა საკუთარი თავიდან გასვლის თეორია. უარყოფა არა რომელიმე ცალკეული სოციოკულტურული სისტემისა, არამედ საკუთრივ დასავლური კულტურისა მთლიანად. ევროპის მთელი კულტურული მემკვიდრეობა აბსურდად გამოცხადდა და სახლდაკარგული ევროპელის სურათი დაიხატა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ფრიად საგულისხმო მითი ბერძნული მითოლოგიიდან– მითი ეპიგონების შესახებ, სადაც დახატულია მშობლის მკვლელი, გმირთა ჩამომავალი, რომლისთვისაც ადგილი არ არის ქვეყანაზე. ქურუმის მოწოდების თანახმად, მან უნდა იპოვოს „ადრე ქვეყანაზე არარსებული მიწა", რათა გადაურჩეს შურისმაძიებელ მოირათა დევნას. საკუთარი კულტურიდან გასვლის იდეა დასავლური ცნობიერების შედეგია. ევროპელი თვითდამკვიდრების ამ გზასაც იცნობს, ოღონდ იცნობს მას როგორც მცდარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი. მასების ამბოხი. თბ., 1993
2. Сорокин П. Человек. Цивилизация. Общество. М.1992
3. Культурология XX век. Энциклопедия. т. 1-2. Спб. 1998
4. Шпенглер О. Закат Европы. т. 1. М. 1991.
5. Февр Л. От Шпенгера к Тоинби//Февр Л. Бои за историю. М. 1992.
6. Хейзинга И. В тени завтрашнего дня // Хейзинга И. "Horo Ludens". М. 1990.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ფირცხალავა
თსუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნინო ჩიქოვანი
თსუ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

# ცივილიზაციათა კონტაქტის პრობლემა და საქართველო

კულტუროლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ცივილიზაციათაშორისი კონტაქტების კომუნიკაციური და გენერაციული შესაძლებლობების, ანუ ცივილიზაციათა კულტურაწარმომქმნელი ურთიერთქმედების შესაძლებლობის საკითხი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ცივილიზაციათა კონტაქტის ზონების შესწავლა. ფ.ბროდელი მიუთითებდა ე.წ. სასაზღვრო კულტურების კვლევის მნიშვნელობაზე, რომელთა მეშვეობით ცივილიზაციათა საზღვრები იხსნება სხვებთან კონტაქტისათვის (მაგალითად, ევროპისათვის ასეთად ითვლება იბერიული (პირენეის) და სლავური კულტურები) (1; 2). ამ კულტურებში მჟღავნდება ცივილიზაციათა კომუნიკაციური შესაძლებლობანი, რაც გვაახლოებს პასუხთან კითხვაზე: აქვს თუ არა ადგილი კულტურათა დიალოგს, თუ მათ შორის სიყრუე ბატონობს? წარმოიშობა თუ არა კონტაქტის ზონებში კულტურები, რომლებიც შეიძლება იქცნენ ახალი ცივილიზაციურ-კულტურული ტიპის საფუძვლად?

გამოყოფენ ცივილიზაციათაშორისი ურთიერთქმედების სამ ტიპს: 1.დაპირისპირება; 2. სიმბიოზი; 3. სინთეზი.

პირველი ტიპი ემყარება უცხო რეალობის სრულ უარყოფას. ამ დროს ადგილი აქვს სულიერი გამოცდილების სხვა, საკუთარი კულტურისაგან განსხვავებული ფორმების ტოტალურ მიუღებლობას, ისინი განიხილება როგორც მტრული მოვლენა, რომელიც უნდა განიდევნოს და აღმოიფხვრას.

მეორე ტიპი გულისხმობს ვითარებას, როცა თითოეული ურთიერთმოქმედი მხარე ინარჩუნებს საკუთარ სახეს, ახალი კულტურული თვისობრიობა არ წარმოიშობა, მაგრამ შეხებაში მყოფ კულტურულ რეალობათა შორის ჩნდება სისტემური კავშირი. უცხო კულტურული რეალობა კონტაქტის მონაწილეთა მიერ ბუნებრივად აღიქმება, ასეთი არსებობის პირობებში წინააღმდეგობრიობა, ჩვეულებრივ, არ გაიაზრება. სიმბიოზისათვის დამახასიათებელია ურთიერთმიზიდვისა და ურთიერთგანზიდვის წინააღმდეგობრივი შერწყმა. პირველის ძალა საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ შეიქმნას სისტემური კავშირი კონტაქტის მონაწილეთა შორის. ამასთან, თითოეული მხარე მეორეს აღიქვამს როგორც უცხოს. „უცხოს“ განზიდვის, მოშორების ხარისხი სიმბიოზში საკმაოდ დიდია, რათა შეიქმნას მკაცრი ზღვარი განსხვავებულ კულტურულ ელემენტთა დაახლოების, შერწყმისა და ახალ, კონტაქტში მყოფთაგან განსხვავებულ თვისობრიობად ტრანსფორმირებისათვის.

სიმბიოზში მყოფ ეთნოკულტურულ ელემენტთა თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: დაწყებული სიტუაციით, როცა უპირატესობა აქვს ავტოქტონურ საწყისს, ხოლო „მოსული“ კულტურის ელემენტები არსებობენ ცნობიერების პერიფერიაზე, დამთავრებული მდგომარეობით, როცა მსოფლმხედველობის ღერძად ფასეულობათა „მოტანილი“ სისტემა გვევლინება (4, 18-19).

ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის მესამე ტიპზე - სინთეზზე - ლაპარაკი შეიძლები მაშინ, თუ კონტაქტის ზონაში ჩნდება კონტაქტში შესულ

კულტურულ სამყაროთაგან განსხვავებული, თვისებრივად ახალი კულტურული რეალობა.

დასახელებული პრობლემით ჩვენი დაინტერესება განპირობებულია იმ გარემოებამ, რომ ქართული კულტურა არ განეკუთვნება ტრადიციული კულტუროლოგიის კვლევის ძირითად ობიექტთა - ე.წ. „სუფთა“ კულტურათა - რიცხვს, რომლებიც ყალიბდებიან და ვითარდებიან რომელიმე ცივილიზაციის შიგნით როგორც მისი ბირთვი, ცენტრი, და რომელთა ფორმირება მიმდინარეობს „ცივილიზაციურ თანამოძმეებთან“ ურთიერთქმედების პირობებში. ქართული კულტურა ერთ-ერთია იმ სასაზღვრო კულტურათაგან, რომლებიც დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა კონტაქტის ზონაში მდებარეობენ.

ამასთან დაკავშირებით, გასარკვევია საკითხი - ქართული კულტურა სასაზღვრო ტიპის კულტურაა (ცივილიზაციაა?), რომელიც თვისობრივად განსხვავდება როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცივილიზაციებისაგან, თუ იგი რომელიმე მათგანის ნაწილია, წარმოადგენს მის პერიფერიას, რომელიც გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა და განსხვავდება ამ ცივილიზაციის ისტორიული ცენტრისაგან?

ევროპისა თუ აზიისადმი იმ რეგიონის კუთვნილების საკითხი, რომელსაც საქართველო ეკუთვნის, დიდი ხანია ინტერესისა და განსჯის საგანია.

ჰეგელისათვის ევროპა წარმოადგენს ძველი სამყაროს ცენტრსა და დასასრულს, განსხვავებით აზიისაგან, რომელიც სამყაროს იმ ნაწილად აღიქმება, რაც მუდმივი საწყისის, ამოსავლის იდეას უკავშირდება. ხოლო აზიის ის ნაწილი, რომელიც წინა აზიის სახელს ატარებს, ევროპასთან იმგვარ მიმართებაშია, რაც მისთვის შინაგანად, ორგანულადაა დამახასიათებელი: ეს კი გულისხმობს იმას, რომ მისი ევროპისაგან დაცილება წარმოუდგენელია. მისი სულიერი ენეოგიის პროდუქტი, „მისი კულტურა ევროპაში გადაბარგდა“ (6, 237), ანუ ის, რაც ამ გარემოში აღმოცენდა, „ქვეყანამ თავისთვის კი არ დაიტოვა, არამედ ევროპაში გადააგზავნა“ (იქვე). უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება იმ პრინციპებს, რომლებიც აქ ჩანასახის სახით გამოვლინდა, მაგრამ ჩამოყალიბებული, დასრულებული სახით მხოლოდ ევროპაში გაფორმდა.

წინა აზია იქცა იმ ერთგვარ ზღურბლად, წინკარად, სადაც ყოველგვარი რელიგიური თუ სახელმწიფოებრივი პრინციპი იღებს დასაბამს, მაგრამ მხოლოდ ამ ზღურბლის გადალახვის შემდეგ, უკვე მოშორებით, ევროპის მუდმივ მშენებარე ნაგებობაში ხდება მისი სრულქმნა და განვითარება. ამრიგად, ჰეგელის მიხედვით, „შავიზღვისპირეთში მდებარე კოლხეთი სომხეთთან ერთად“ იქცევა „მთავარ დამაკავშირებელ წერტილად აზიასა და ევროპას შორის“ (6, 239).

წინა აზიის ამ ხალხებს, რომლებიც წმინდა ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც ევროპელებს ენათესავებიან, ვინაიდან, კვლავ ჰეგელი რომ დავიმოწმოთ, „კავკასიურ ანუ ევროპულ ტომს განეკუთვნებიან“ და „დასავლეთთან იმყოფებიან კავშირში“ (იქვე, 414), ალბათ, საკუთარი თავისათვის იმდენი სიკეთე არ მოუტანიათ, რაც ევროპისათვის გააკეთეს. წინა აზიის გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრებ ხალხებს წინკარში ცხოვრების განცდა ჩამოუყალიბდათ, რაც იმას გულისხმობს, რომ საკუთარ თავს ისინი გაიაზრებენ როგორც ყოველივე ახლის პირველმიმღებსა და ამთვისებელს, რასაც შემდეგ სულგრძელად სხვას გადაულოცავდნენ. ამ ტკბილმა ილუზიამ ისინი იმდენად გაიტაცა, რომ საუკუნეთა მანძილზე საკუთარ შეუცვლელობაში დარწმუნებულებსა და გულდაჯერებულებს არც კი შეუტყვიათ, როგორ იქცა მათი საამაყო და წარმოსახვაში ხალოლიავები საპარადო შესასვლელის თაღი „ქრისტიანობის აზიატური პროვინციის“ (7. 577) უკანა კარად. ამ კარს დროდადრო, განსაკუთრებული კრიზისის პერიოდებში, გაუქმებაც კი ემუქრებოდა ხოლმე, ვინაიდან გაუცნობიერებელმა ჟამთა მსვლელობამ

ეს თავისთავად მართლაც მშვენიერი თაღი ისე დააშორა ძირითად შენობას, რომ იგი ლამის ფუნქციადაკარგულ, ნახევრადმორღვეულ ნანგრევად იქცა.

მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე ქართველი ერის ერთგვარ ბედისწერად ჩანს ბრძოლა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს თაღი - ბუნების თუ დროის კატაკლიზმების შედეგად საგრძნობლად შელანძღული - აუცილებელი და ორგანული ნაწილია იმ ევროპული ნაგებობისა, რომელიც თავის დროზე ქრისტიანობამ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ორიენტისა და ოქციდენტის სრულიად უცნაური შეხვედრის პირმშომ შეადუღაბა. ეს იმედით, წამებითა და უსასრულო იმედგაცრუებით აღსავსე ბრძოლა მიმართული იყო იმ უფლების მოსაპოვებლად, რასაც ევროპაში ინტეგრაცია ჰქვია. ამ უფლების მოსაპოვებელ უტყუარ საბუთად კი კვლავ ის ბიზანტიური სტილის, უმშვენიერესი ორნამენტით დამშვენებული თაღი ცხადდებოდა, რომლის გავლითაც ხვდებოდა ევროპაში ის, რამაც ევროპის ევროპულობა განსაზღვრა. მაგრამ მეტად დიდი იყო შეუვალ ავტორიტეტთა სიტყვის წონა, რაც ამ საუკუნეების მანძილზე ნაღოლიავები ოცნებისათვის სასიკვდილო განაჩენად იქცა; „ქრისტიანობის აზიატური პროვინციის„ სახელმწიფოებრივი წყობა, ჰერდერის მტკიცებით, ვერაფრით ჩაითვლებოდა ქრისტიანობის ნაშიერად (7, 577), ვინაიდან სამყაროს მოწყვეტილი, ბერმონაზვნური განდეგილობის იდეალი ძარღვებში შედედებულ და გაყინულ სისხლს ვერ აამუშავებდა, „მიძინებულ უსულო სხეულს" ვერ გააცოცხლებდა (იქვე). ამ ილაჯგაწყვეტილ ორგანიზმში „ერესის ძალაც კი დაშრეტილა" (იქვე, 578), სინანულით დასძენს ჰერდერი, როცა სხვა აღმოსავლურქრისტიანულ ქვეყნებთან ერთად საქართველოს ყოვლად „უცნაურ ქრისტიანობაზე" (იქვე, 576) მსჯელობს. მაგრამ მას, ალბათ, ავიწყდება, რომ ერესი ის ფუფუნება იყო, რომლის უფლება ისე მკვიდრად ნაგები შენობის ბინადართ ჰქონდათ, რომელთაც სწორედ ერესის იდეებით ბიძგმიცემული ოცდაათწლიანი ომის (1618-1648) შემდეგ ევროპული სახლი თავზე კი არ დანგრევიათ, არამედ სხვადასხვა სტილით ნაგები ფლიგელებითა და მინაშენებით კიდევ უფრო განუმტკიცდათ და დაუმშვენდა. როცა უმთავრესია იმ თაღის გადარჩენა, რომელიც გასაოცარ, სრულიად აუხსნელ გამძლეობას იჩენს გარეშე დამანგრეველი ძალების ზეწოლის მიმართ, ყოველგვარი შინაგანი, თუნდაც უმნიშვნელო წინააღმდეგობა შეიძლება საბედისწეროდ იქცეს და მთელი კონსტრუქცია თან გადაიყოლოს.

---

1. Бродель Ф. История и общественные науки. Историческая длительность // Философия и методология истории. М.,1977

2. Бродель Ф. Свидетельство историка. // Французский ежедневник, 1982. М., 1984

3. Семенов С.И. Пограничная культура во "Встрече миров" // Iberica Americans: Механизмы культурообразования в Латинской Америке. М., 1994 с.29-33

4. Шемякин Я.Г. Межцивилизационное взаимодействие и процесс культурогенеза в Латинской Америке // Там же. с.11-29

5. Тойнби А.Дж. Столкновения цивилизаций. Психология столкновения // Тойнби А.Дж. Цивилизация перед судом истории. М. – СПБ. 1996. с.129-134. 182-188

6. Hegel G.W.Fr. Vorlesungen uber die Philosophie der Weltgeschichte. Berlin, 1970

7. Herder I.G. Ileen zur Philosophie der Geschichte der Menschheit. Berlin, 1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა მგელაძე
თსუ ისტორიის ფაკულტეტის კულტურის ისტორიისა
და თეორიის სპეციალობის III კურსის სტუდენტი

# კულტურის ფენომენის ინტერპრეტაცია ლესლი უაიტთან

„კულტურა“ ერთ–ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა როგორც ყოფით მეტყველებაში, ისე მეცნიერული თვალსაზრისით მას მრავალი მნიშვნელობა გააჩნია, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულესა და მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

თანამედროვე მნიშვნელობით ტერმინი „კულტურა“ XVII საუკუნიდან იხმარება. მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იგი პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სემუელ პუფენდორფმა (1632–1694), რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ კულტურა არის ის, რაც შექმნილია ადამიანის და არა ბუნების მიერ. ოპოზიციამ „კულტურა“ – „კონტრა–ნატურა“ დიდი როლი შეასრულა შემდგომი ხანის კულტუროლოგიურ კვლევა–ძიებაში.

კულტურის ფენომენის სირთულესა და მრავალფეროვნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თუ ადრე მეცნიერებს მეტ–ნაკლებად ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ ამ ტერმინის არსზე, კერძოდ ისინი იზიარებდნენ ეტეილორის ცნობილ განსაზღვრებას, დღეს დეფინიციათა რიცხვმა რამოდენიმე ასეულს გადააჭარბა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კულტურის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: ისტორიული, სტრუქტურული, სტრუქტურულ–ფუნქციური, სისტემური და სხვ.

ჩვეულებრივ, ცნებას „კულტურა“ ხმარობენ კრებითი მნიშვნელობით, რომელიც აერთიანებს ხელოვნებას, რელიგიას, მეცნიერებას და ა.შ. უფრო ფართო აზრით, ეს ცნება ხაზს უსვამს ადამიანის არსებობის განსხვავებას სიცოცხლის ბიოლოგიური ფორმებისაგან. სწორედ კულტურა განასხვავებს ადამიანს ყველა დანარჩენი არსებისაგან. კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის „ახალ სამყაროს“ და საკუთარ თავს. თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, შექმნილი ადამიანის გარკვეული დამოკიდებულებით გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი.

ზოგჯერ ტერმინი „კულტურა“ იხმარება გაცილებით ვიწრო მნიშვნელობითაც: ადამიანის ყველა ქმნილება კი არ შეადგენს კულტურას, არამედ მხოლოდ „უმაღლესი“ ქმნილებანი – მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, რელიგია, პოლიტიკური და სოციალური იდეები და ა.შ.

კულტურის ფენომენის კვლევასა და თავად მისი შემსწავლელი მეცნიერების – კულტუროლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ლესლი უაიტმა. ჩვენ სწორედ მასზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

ლესლი უაიტი (1900–1975) ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი და კულტუროლოგია. ავტორი თეორიული ნაშრომებისა: „კულტურის ევოლუცია“.

„მეცნიერება კულტურის შესახებ" და სხვა. 1962 წლიდან სათავეში უდგას ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციას. მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში უაიტი განუდგა ბოასისეულ კულტურული რელატივიზმის მიმდინარეობას. ის აშკარად იცავდა XX საუკუნის შუა ხანებისათვის არაპოპულარულ ევოლუციის თეორიასა და კულტუროლოგიურ კონცეფციას, რის გამოც მას დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. მას სასტიკად აკრიტიკებდნენ, საფრთხე შეექმნა მის სამეცნიერო კარიერასაც. ლესლი უაიტის ნაშრომებს ავტორის სიცოცხლეში აღიარება არ მოუპოვებიათ. ის არ მიეკუთვნებოდა არცერთ მაშინდელ ოფიციალურად აღიარებულ მიმდინარეობას. უაიტმა შექმნა საკუთარი, კულტურულ–ევოლუციური კონცეფცია. მისმა შეხედულებებმა მხოლოდ 90–იან წლებში შეიძინეს დიდი მნიშვნელობა.

ლესლი უაიტის აზრით, საგნებისა და მოვლენების კლასთა მრავალფეროვნებაში არის ერთი, რომელსაც არა აქვს სახელწოდება. ფენომენთა ეს კლასი დამოკიდებულია ადამიანის უნარზე, მოახდინოს მათი სიმბოლიზირება. საგანთა და მოვლენათა ამ ერთობლიობას უაიტი პირობითად სიმბოლატებს უწოდებს. ამ კლასს განეკუთვნებიან იდეები, ურთიერთობები, რწმენა–წარმოდგენები, ქცევები, წესები, ტრადიციები, კანონები, ინსტიტუტები, ხელოვნების ნიმუშები, შრომის იარაღები, ფეტიშები და სხვ. სიმბოლატები შეიძლება განხილული იქნას სომატურსა და ექსტრასომატურ კონტექსტში. იმ შემთხვევაში– თუ სიმბოლიზირებულ საგნებსა და მოვლენებს განვიხილავთ ადამიანის ორგანიზმთან კავშირში, ე.ი. სომატურ კონტექსტში, მაშინ ეს სიმბოლოები იწოდებიან ადამიანის ქცევებად, ხოლო თუ მათ განვიხილავთ მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში, ე.ი. ექსტრასომატურ კონტექსტში, მაშინ ეს კლასი კულტურად წარმოგვიდგება. როგორც ევოლუციონისტი, ლესლი უაიტი საჭიროდ თვლიდა მიესადაგებინა ისტორიული, სტრუქტურულ–ფუნქციონალური და ევოლუციონისტური შეხედულებები კულტურის ინტერპრეტაციისათვის.

კულტურის ერთ–ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი არაბიოლოგიურად გადაცემადი ხასიათი. კულტურის ყველა ასპექტი – მატერიალური, სოციალური, იდეოლოგიური – გადაეცემა მომდევნო თაობას სოციალური მექანიზმის საშუალებით. კულტურას შეიძლება ვუწოდოთ სოციალური მემკვიდრეობის ფორმა.

კულტურა – ეს არის ორგანიზებული, ინტეგრირებული სისტემა, რომლის შიგნითაც გამოიყოფა ქვესისტემები: ტექნოლოგიური, სოციალური და იდეოლოგიური.

ტექნოლოგიური სისტემა შედგება მატერიალური, მექანიკური და ქიმიური იარაღებისაგან, რომელთა გამოყენებაც საშუალებას აძლევს ადამიანს, როგორც ცოცხალი სამყაროს წარმომადგენელს, კონტაქტში შევიდეს გარემომცველ სამყაროსთან. აქ შედის საწარმოო ძალები, არსებობის საშუალებანი, ომისა და თავდაცვის ხერხები.

სოციალური სისტემა მოიცავს ურთიერთობებს, კოლექტიური ან ინდივიდუალური ქცევების პატერნებს. ამ სისტემის შიგნით ლესლი უაიტი გამოყოფს საზოგადო, ეკონომიკურ, ეთიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და რელიგიურ ქვესისტემებს.

იდეოლოგიური სისტემა მოიცავს იდეებს, რწმენა–წარმოდგენებს, ცოდნას და სხვ. მითოლოგია და თეოლოგია, ლეგენდები, ლიტერატურა, პოეზია, ფილოსოფია, მეცნიერება აგრეთვე შედის იდეოლოგიურ სისტემაში.

ეს სამი კატეგორია მოიცავს კულტურის, როგორც ერთი მთლიანობის საფუძველს. ისინი ურთიერთქმედებენ, თითოეული გავლენას ახდენს სხვაზე და, ამავე დროს, თავად განიცდის გავლენას. ზეგავლენა სხვადასხვანაირია. ზოგიერთი სისტემა

განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს კულტურულ პროცესში. ვინაიდან ადამიანი ბიოლოგიური არსებაა და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნება მატერიალურად უზრუნველყოფილი, ტექნოლოგიური სისტემა არსებით როლს თამაშობს მის ცხოვრებაში.

უაიტის სახელთანაა დაკავშირებული კულტურის ენერგიის ცნების შემოტანა. კულტურის მთავარ ფუნქციად ის ენერგიის მოპოვებას თვლის. ამ თვალსაზრისით კულტურა წარმოგვიდგება, როგორც რთული, თერმოდინამიკური მექანიკური სისტემა.

ენერგია კულტურულ სისტემაში არ იქმნება და არც ქრება, ის გარდაიქმნება. მას მოიპოვებენ. მოპოვება კი სწორედ ტექნიკის საშუალებით ხდება. აქტუალურია ენერგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ფაქტორი. ენერგია თავისთავად, დამოუკიდებლად არაფერს ნიშნავს. კულტურულ სისტემაში მთავარია ის ენერგია, რომელიც გამომუშავდება, კონტროლდება და მიმართებადი ხდება.

კულტურული პროცესის განხილვისას, კულტურის განვითარება და პროგრესი დამოუკიდებელია მექანიკური საშუალებების (შრომის იარაღები) დახვეწაზე, რომლის საშუალებითაც ადამიანი გარდაქმნის და გამოიყენებს ენერგიას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ფაქტორთა როლი ერთნაირია. ენერგიის ფაქტორი – უპირველესია და განმსაზღვრელი, ის წყაროა ყოველგვარი მოძრაობისა. შრომის იარაღი კი – მხოლოდ საშუალებაა, რომელიც ემსახურება ამ ძალას. ენერგეტიკული ფაქტორი შეიძლება გაიზარდოს დაუსრულებლივ, შრომის იარაღების ეფექტურობა და დახვეწა კი შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე.

თავის მთავარ ნაშრომში „მეცნიერება კულტურის შესახებ", ლესლი უაიტი ეხება კულტურის მრავალ პრობლემას, მათ შორის – კულტურის ადგილმდებარეობას, რამდენი ადამიანი „ქმნის" კულტურას, შედგება თუ არა კულტურა აბსტრაქციისაგან და ა.შ.

კულტურას უხსოვარი დროიდან იკვლევენ. დღესდღეობით არსებობს კულტურის ცნების უამრავი დეფინიცია. ლესლი უაიტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მან შეძლო ახლებურად და ორიგინალურად გაეაზრებინა კულტურის ასპექტები, ამიტომაც ასე აქტუალურია დღეს მისი გამოკვლევები.

1. Уайт Лесли А. Наука о культуре // Антология исследований культуры. Тнш 1. Интерпретации культуры. Спб. 1997.

2. Уайт Лесли А.Энергия и эволюция культуры // Антология исследований культуры. Том.1. Интерпретации культуры. Спб. 1997.

3. Уайт Лесли А. История. эволюционизм и функционализм как три типа интерпретаций културы // Антология исследований культуры. Том 1. Интерпретации культуры. Спб. 1997.

4.Уайт Лесли А. Концентрация эволюции в культурной антропологий // Антология исследований культуры. Том 1. Интерпретации культуры. Спю. 1997.

ივანე წერეთელი

თსუ ისტორიის ფაკულტეტის კულტურის ისტორიისა
და თეორიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ა. ჯ. ტოინბის „გამოწვევა-პასუხის“ თეორია და ქართული საზოგადოების განვითარების პრობლემები

XX ს-ის ფილოსოფიური და ისტორიული აზროვნება წარმოუდგენელია ინგლისელი ისტორიკოსისა და კულტუროლოგის ა.ჯ.ტოინბის და მისი კონცეფციის გარეშე. ამ კონცეფციის არსს წარმოადგენს „გამოწვევა–პასუხის“ თეორია.

დავიწყოთ იმით, რომ ტოინბი გამოყოფს საზოგადოების ორ სახეს: ეს არის „დიდი საზოგადოება“, ანუ ცივილიზაციები და „პრიმიტიული საზოგადოებები“. ცივილიზაცია რიგი ნიშნებით აერთიანებს, პირველ რიგში რელიგიური თვალსაზრისით, ერთგვაროვანი კულტურის მქონე ხალხებს. ტოინბი გამოყოფს ცივილიზაციის წარმოშობის ორ სახეს: წინამორბედი ცივილიზაციისგან წარმოშობის გზა და პრიმიტიული საზოგადოების მუტაცია. იმისათვის, რომ „პრიმიტიული საზოგადოება“ სტატიკურიდან დინამიურ მდგომარეობაში გადავიდეს, საჭიროა ინერციის მიმცემი ძალა, რომელიც ტოინბის აზრით არის „გამოწვევა“, მომდინარე ბუნებრივი და ადამიანური გარემოდან.

გამოწვევა უნდა იყოს მკაცრი, მუდმივი და კომპენსაციის მიზნით თან ახლდეს შემამსუბუქებელი გარემოება, რათა საზოგადოება განვითარების „ოქროს შუალედში“ მოექცეს.

საინტერესოა, თუ როგორ მიესადაგება ეს თეორია ქართული კულტურის ჩამოყალიბება–განვითარების ისტორიას. ხელშემწყობმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა პირველყოფილი ადამიანის კავკასიის ტერიტორიაზე დამკვიდრება. დმანისის მიდამოებში აღმოჩნდა ევრაზიის ყველაზე ძველი ნასახლარი, რომელიც 1 700 000 წლით თარიღდება. ამის შემდგომ იწყება პირველი პრიმიტიული საზოგადოებების შექმნა. მართალია, თავიდან კავკასიის პირველყოფილი კულტურა ერთიანი და მსგავსი იყო, მაგრამ მალე მოხდა მისი დაყოფა და ლოკალიზება კონკრეტულ ტერიტორიებზე. ლოკალური მტკვარ–არაქსის კულტურა ადრებრინჯაოს ხანაში და თრიალეთის კულტურა შუაბრინჯაოს ხანაში განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა, თითქმის მთელი ამიერკავკასია მოიცვა, მაგრამ ერთ „დიდ საზოგადოებად“ ჩამოყალიბება მაინც არ მოხერხდა. რამ განაპირობა ეს?

დავიწყოთ იმით, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა გაერთიანება ერთ „დიდ საზოგადოებად“ შესაძლებელია მხოლოდ მკაცრი აუცილებლობით. საჭიროა გაჩნდეს დაინტერესების საერთო საფუძველი, ანუ ისინი წარსდგნენ ერთი საერთო მკაცრი გამოწვევის წინაშე. ამის ნათელი მაგალითია ეგვიპტე, რომლის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა ნილოსის გამოწვევა.

პირველი ქართული საზოგადოებები ყალიბდება მას შემდეგ, როცა ცივილიზებული მსოფლიოს საზღვრები ფართოვდება ჩრდილოეთით. ამ დროს კავკასიის ტერიტორია ექცევა დიდ სახელმწიფოთა დაინტერესების სფეროში, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა მიზეზი ხშირი თავდასხმებისა. კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები წარსდგნენ მკაცრი ადამიანური გარემოს გამოწვევის წინაშე. მისმა მუდმივობამ განაპირობა ამ ტომთა გაერთიანება და კონსოლიდაცია. რაც გახდა მიზეზი პირველი ქართული სახელმწიფოების გაჩენისა.

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა საზოგადოების ფუნქცია. ანუ განვითარების სტიმული. იგი ყოველთვის ინტერესის აღმძვრელი იყო. რამაც განაპირობა გამოწვევის მუდმივობა. საქართველოს უამრავ გამოწვევაზე მოუხდა პასუხის გაცემა. მაგრამ ხშირად. პასუხის ადეკვატურობის მიუხედავად. ეს იყო არა განვითარების. არამედ არსებულის. ძველის. დანგრეულის აღდგენის ცდა. გეოგრაფიული მდებარეობით ბოძებული ფუნქცია არის ჩვენთვის საძირკველი. რომელზეც უნდა აშენდეს საზოგადოება. რათა იგი იყოს მყარი. ხოლო საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე გაცემული ადეკვატური პასუხი ხშირად წარმოადგენდა არა აგურების დაწყობას ამ საძირკველზე. არამედ საძირკველზე გადაფარებული მიწის თხრას. ამიტომ საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები შეიძლება დაიყოს ტიპებად: პირველი. რომელზე გაცემული პასუხიც არის მცდელობა იმ (მეორე ტიპის) გამოწვევამდე მისვლისა. რომელიც ხდება საზოგადოების განვითარების სტიმული. პირველი ტიპის გამოწვევები ძირითადად ისლამური და რუსული „კარჩაკეტილობიდან“ მომდინარეობდა. ისტორიის უდიდესი ნაწილი იყო არა ქართული საზოგადოების განვითარების. არამედ არსებულის შენარჩუნებისა და ფუნქციის დაბრუნებისთვის ბრძოლა. ამ გამოწვევის კომპენსაციას ყოველთვის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაინტერესების თანადროულობა ქმნიდა. ასე იყო სასანიდური ირანისა და რომის. არაბეთისა და ბიზანტიის. ხოლო თანამედროვე ეტაპზე – რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობის დროს. ორივე შემთხვევაში გამოწვევათა პირველი ეტაპის გადალახვა მოხერხდა დასავლური ქვეყნის აქტიური გამოჩენით ამ ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია. რომ ქართულმა საზოგადოებამ ჩამოყალიბების ერთიდაიგივე ეტაპი რამდენჯერმე განვლო. იგი „პრიმიტიული საზოგადოებიდან“ „დიდ საზოგადოებამდე“ რამდენჯერმე მაღლდება. მაგრამ გარკვეული ხელშემშლელი პირობების გამო კვლავ თითქმის „პრიმიტიულ საზოგადოებად“ იქცევა.

პირველი ეტაპი იწყება უხსოვარი დროიდან. მოიცავს პერიოდს ადრეული პრიმიტიული საზოგადოებების გაჩენიდან დიაოხისა და კოლხას ჩამოყალიბებამდე; მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს ქართლისა და ეგრისის ჩამოყალიბებიდან ლაშა-გიორგის ნათვლით; ხოლო მესამე პერიოდი კი – მონღოლების შემოსევიდან დღემდე.

ეს არის სამი მსგავსი ციკლი. რომელიც განვლო ქართულმა საზოგადოებამ. წყალგამყოფად პირველ და მეორე ეტაპებს შორის შეიძლება მივიჩნიოთ ჯერ ურარტუს და შემდგომ კიმერიელებისა და სხვა მომთაბარე ტომების გადმოსვლა და ქართული საზოგადოების გაპარტახება.

მეორე და მესამე ეტაპებს შორის წყალგამყოფია მონღოლთა შემოსვლა.

მსგავსება მათ შორის ის არის. რომ ამ დროს უკვე „დიდ საზოგადოებად“ ქცეული საქართველო კვლავ „პრიმიტიულ“ სტატიკურ საზოგადოებად იქცევა. იგი თავიდან იწყებს ჩამოყალიბებას. გაერთიანებას და განვითარებას.

მონღოლთაგან წამოსულ მკაცრ „გამოწვევას“. რომელიც შემდგომ სხვა აღმოსავლურმა სახელმწიფოებმა განაგრძეს. ხუთი საუკუნის მანძილზე არ გამოუჩნდა შემამსუბუქებელი გარემოება. რუსეთთან ურთიერთობა ამ ერთიანი ციკლის გაგრძელებაა. 1783 წ. ტრაქტატი გამოწვევაზე ადეკვატური პასუხის გაცემის მცდელობაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ რუსეთის შემადგენლობაში მოახერხა სტატიკურობის დაძლევა და გაერთიანება, ადეკვატური პასუხის გაცემა, რაც ფუნქციის დაბრუნებაში მდგომარეობს, მაინც არ მოხერხდა მანამ, სანამ შემმსუბუქებელ გარემოებად დასავლეთის გამოჩენა არ იქცა.

დღევანდელობაში, ჩვენის აზრით, პირველი ტიპის გამოწვევები, თუ სულ არა, უმეტესად მაინც დაძლეულია. საქართველოს შანსი აქვს კვლავ დაიბრუნოს ისტორიული ფუნქცია, რომელიც განაპირობებს საზოგადოების განვითარებას.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, თბილისი, 1973

2. ნ.ბერძენიშვილი, ვ.დონდუა, მ.დუმბაძე, გ.მელიქიშვილი, შ.მესხია, პ.რატიანი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958

3.გ.ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ქუთაისი, 1925

4.ო.ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991

5. О.Лордкипанидзе. Население древней Грузии. Тбилиси. 1989

6. А.Дж.Тойнби. Постижение истории. Сборник. Москва. 1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ქრიაშვილი

თსუ ისტორიის ფაკულტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

# ქართული რენესანსის გააზრების საკითხისათვის

(ჟ. ლე გოფის მეცნიერული შეხედულების ფონზე)

მ. ბლოკისა (1886–1944) და ლ. ფევრის (1878–1956) მიერ 1929 წ. პარიზში დაარსებულმა ჟურნალმა „ანალები„ (Annales) და მის გარშემო შემოკრებილმა ინტელექტუალებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ მეცნიერულ მიმდინარეობას, რომელიც ანალების სკოლის სახელითაა ცნობილი და რომელმაც „კოპერნიკისეული გადატრიალება“ (ასე უწოდეს ამ მიმდინარეობას მისმა მომხრეებმა) მოახდინა ტრადიციულ ევროპულ ისტორიულ მეცნიერებაში.

„ანალების“ სკოლის წარმომადგენლებმა ტრადიციული „ისტორია–თხრობა“ შეცვალეს „ისტორია–პრობლემით“. მათი კვლევის სფერო მოიცავდა მთლიანად საზოგადოებას, მის შიგნით არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ კავშირებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებებს.

„ანალების“ სკოლის ჩამოყალიბებისთანავე გამოიკვეთა ორი – მ. ბლოკისეული და ლ. ფევრისეული–ხაზი, რომელთაგან პირველი მიმართული იყო სოციალურ ურთიერთობათა კვლევისაკენ, ხოლო მეორე–ცივილიზაციათა შესწავლისაკენ.

„ანალების“ სკოლამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. პირველი ხასიათდება მკვეთრად გამოკვეთილი ინტერესით მენტალობის ისტორიისადმი და „ადამიანური ფაქტორის“ როლისადმი ისტორიაში. მეორე ეტაპზე გამოკვეთილია ინტერესი ეკონომიკური, გეოგრაფიული, სოციალური და სხვ. სტრუქტურებისადმი, „ნელი“ გარდატეხისადმი ისტორიაში. აღნიშნული ეტაპი ხასიათდება კვლევის მეთოდების რაოდენობის ზრდით და სტრუქტურალიზმის პოპულარობით. მესამე ეტაპი 80–იან წლებამდე გრძელდება. ამ დროს ძირითადი ყურადღება ექცევა ადამიანის შესწავლას, როგორც სუბიექტისა თავის სოციოკულტურულ გარემოპირობებში. ამ ეტაპზე „ანალების“ სკოლას წარმოადგენდნენ: ჟაკ ლე გოფი, კდიუბი, ეკლე რუა ლადური და სხვ.

სწორედ ჟაკ ლე გოფზე გვინდა შევჩერდეთ. იმ მრავალ პრობლემათაგან, რომელიც ლე გოფმა დააყენა ისტორიული მეცნიერების წინაშე, ჩვენი ყურადღება მიიქცია X–XIII საუკუნეებში. დას.ევროპაში მომხდარი ცვლილებების ანალიზმა, რომლებიც ძირითადად ფასეულობათა სისტემებს შეეხო. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლე გოფი შუა საუკუნეებს იწყებს დაახლ. III ს–დან და ამთავრებს დაახლ. XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნით. იგი ამ პერიოდს „გრძელ შუა საუკუნეებს“ უწოდებს. ეს იყო აგრარული საზოგადოების, ქრისტიანობის როგორც რელიგიისა და იდეოლოგიის დრო, როცა ფუნქციონირებს საზოგადოების სამფუნქციონალური მოდელი: იგი იყოფა „მლოცველებად“, „მებრძოლებად“, და „მშრომელებად“. ადამიანი მოიაზრებოდა ღმერთისა და სატანის ბრძოლის ველად. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მენტალობის ცვლილება იყო ნელი და თითქმის შეუმჩნევლიც.

„გრძელ შუა საუკუნეებში“ ლე გოფი გამოყოფს X–XIII საუკუნეებს, როდესაც მოხდა მკვეთრი ცვლილებები მენტალობაში და ძირითად ფასეულობათა სისტემებში.



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ცვლილებები გამომდინარეობდა დროისადმი დამოკიდებულების შეცვლიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული, „საეკლესიო დროსთან" ერთად ჩნდება და უფრო ინტენსიურად ვრცელდება „ვაჭართა დრო", „ხელოსანთა დრო", „კომუნათა დრო". დრო გამოდის ეკლესიის განუყოფელი გამგებლობიდან და ამიერიდან იგი. [illegible] პერიოდებად იყოფა არა საეკლესიო ზარების რეკვით, არამედ XIII ს-ში გამოგონილი მექანიკური საათის მეშვეობით. ესაა დესაკრალიზირებული, გაწერილი სამუშაოსა და ფულადი მიმოქცევის დრო.

ამ ეპოქაშივე იცვლება დამოკიდებულება შრომისადმი, რომლის გაკეთილშობილება ხდება მიწიერი საქმეების ღმერთის სამსახურისა და ხალხის სასიკეთოდ კეთებაში. ასევე იცვლება ადამიანის სხეულისადმი დამოკიდებულება. სულის საპყრობილედან იგი იქცევა მშვენიერებისა და სიჯანსაღის განსახიერებად. ისახება ყველაფრის გამოთვლის, ანგარიშის ტენდენცია, მათ შორის ცოდვებისა და დამსახურებების გამოთვლისა, რაც იწვევს განსაწმენდელის გაჩენას. ყოველივე იწმობს ინდივიდუალიზმის ზრდას.

ეს გამოწვეული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში მიმხდარი ცვლილებებითა და აღმავლობით, მათ შორის: დემოგრაფიული აფეთქებით, სოფლად ე.წ. „აგრარული რევოლუციით", ახალი ტიპის ქალაქების წარმოქმნით, ვაჭრობის განვითარებით, ჯვაროსნული ლაშქრობებით, ღარიბული საეკლესიო ორდენების შექმნით, ხელოვნების-თავიდან რომანული, შემდეგ გოთურის-აყვავებით, ინტელექტუალური აღმავლობით-საქალაქო სკოლების, პროგრესით წერა-კითხვისა და ადგილობრივი ენების განვითარებასა და გავრცელებაში, უნივერსიტეტების დაარსებით, სქოლასტიკის გაჩენით, გლეხთა ტრანსფორმაციითა თუ ახალი საზოგადოებრივი წოდების ჩამოყალიბებით, რაც ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებული იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა რეგიონებში ეს პროცესები არ იყო ერთდროული და აღმავლობა, მეტნაკლები ინტენსივობითა და ქრონოლოგიური აღრევით, ადგილზე თუ სოციალურ პირობებზე დამოკიდებულებებით მიმდინარეობდა.

ჩვენთვის საინტერესოა, ჰქონდა თუ არა ლე გოფისეულ რენესანს ადგილი საქართველოში, რა ფორმებით და სისტემებით მიმდინარეობდა იგი, რამ გამოიწვია მისი სტაგნაცია. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნება გაირკვეს: როგორი იყო დროისადმი დამოკიდებულება და შეიცვალა თუ არა იგი აღნიშნულ პერიოდში; იყო თუ არა საქართველოში დრო ოდესმე მკაცრად საკრალიზებული და მოხდა თუ არა მისი დესაკრალიზება (მართალია, მექანიკური საათი არ გამოუგონიათ, მაგრამ საკულტო ძეგლებზე ჩნდება მზის საათები); განვითარებულმა სოფლის მეურნეობამ შეცვალა თუ არა შრომისადმი დამოკიდებულება; მოხდა თუ არა სხეულისადმი დამოკიდებულების განთავისუფლება ტრადიციული ქრისტიანული შეხედულებებისაგან; განვითარებულმა ვაჭრობამ წარმოქმნა თუ არა ინტერესი თვლისა და ანგარიშისადმი. ყველაფრის, მათ შორის ცოდვებისა და დამსახურების ანგარიშისაკენ სწრაფვას ხომ არ უკავშირდება აღაპების გაჩენა და ხომ არაა აღაპები ინდულგენციების ქართული ვარიანტი.

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, იყო თუ არა ლე გოფისეული რენესანსი საქართველოში და დადებითი პასუხის შემთხვევაში, საშუალება გვეძლევა დავასკვნათ, რომ პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, გარე თუ შიდა ფაქტორების გამო ვეღარ განვითარდა.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.3. თბ., 1973

2. Ле Гофф Ж. С небес на землю (Перемены в системе ценностных ориентаций на христианском Западе XII - XIII вв.)//Одиссей. 1991

3. Ле Гофф Ж. Существовала ли французская историческая школа "Annales" Французский ежегодник 1968 г. М. 1970

4.Культурология XX век. Энциклопедия. т.1. Спб. 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ კაკიტელაშვილი

თსუ ისტორიის ფაკულტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

# კონტრკულტურა: ლაშა-გიორგისა და მისი ჯგუფის პროტესტის შინაარსი

1969 წ. ამერიკელმა სოციოლოგმა თ.როზაკმა 60-იანი წლების ახალგაზრდული პროტესტის აღსანიშნავად შემოიტანა ტერმინი „კონტრკულტურა". შემდგომში ამ ტერმინმა უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო. როგორც 1998 წ. სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ კულტუროლოგიურ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, დასავლურ კულტუროლოგიაში ტრადიციული ხდება შეხედულება, რომლის მიხედვით კონტრკულტურა გაიგება როგორც მომავალი კულტურული პარადიგმების ბირთვი. კულტურის ისტორიაში ყალიბდება სიტუაციები, როდესაც ფასეულობათა ლოკალური კომპლექსები პრეტენზიას აცხადებენ ერთგვარ უნივერსალობაზე. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სუბკულტურასთან, არამედ კონტრკულტურულ ტენდენციასთან. ამ მოსაზრების თანახმად, ყოველი ახალი კულტურული ეპოქა არის კონტრკულტურის შედეგი. ამგვარად, კონტრკულტურა, კულტურფილოსოფიური გაგებით, მუდმივად წარმოჩნდება კულტურული ნოვაციების მექანიზმის სახით (კონტრკულტურა იყო კინიკოსების მოძრაობა ანტიკურობაში, ქრისტიანობა – რომის იმპერიისათვის, რომანტიკოსები განმანათლებლობის შემდეგ) [7; 323].

ცნება კონტრკულტურა ზოგადი გაგებით აღნიშნავს გარკვეული სოციოკულტურული ჯგუფის ფასეულობათა და ნორმათა დაპირისპირებას გაბატონებული კულტურის ფუნდამენტური ფასეულობებისადმი და ბრძოლას საყოველთაობისათვის. კონტრკულტურის ასეთ განსაზღვრებაში თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს ზემოთქმული, მაგრამ რადგან ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა სავსებით კონკრეტული მოვლენის აღსანიშნავად, ჩვენ, ალბათ, იმ სპეციფიური მახასიათებლებიდან უნდა ამოვიდეთ, რაც 60-იანი წლების პროტესტს ახასიათებდა და რაც, როგორც ვნახავთ, არ ახასიათებს სოციოკულტურული ფორმების ცვლილებას.

როგორც წესი, ფასეულობათა ბირთვი, რომელიც სოციოკულტურული სისტემების შეცვლის დროს იკავებს დომინირებულ ადგილს, არსებობს კულტურაში სუბკულტურის სახით, რაც გულისხმობს პროტესტის გარეშე არსებობას გარკვეული დროის განმავლობაში. ეს გრძელდება მანამ, სანამ არ შეიქმნება წინაპირობა (გაბატონებული სოციოკულტურული სისტემის არასიცოცხლისუნარიანობის სახით) მისი, როგორც უნივერსალური სისტემის, დამკვიდრებისათვის (თუმცა ეს პროცესი არ არის უმტკივნეულო). რაც შეეხება კონტრკულტურას, მისი ფასეულობრივი სისტემა ყალიბდება როგორც პროტესტი გაბატონებული კულტურისადმი და მისთვის უცხოა არსებობის სუბკულტურული ფორმა.

კონტრკულტურის წარმოშობის მიზეზი საძებარია მთლიანად სულიერ სფეროში და არა წინაალმდეგობის განმაპირობებელ სხვა მიზეზებში, რომლებიც შეიძლება მრავალგვარი (სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.) იყოს.

კონტრკულტურა არის სულიერი კრიზისი, რომელსაც განიცდის არა მთელი საზოგადოება, არამედ მისი ნაწილი. ეს არის სულიერი დისკომფორტი, რაც გამოწვეულია გარკვეული ჯგუფის ცნობიერების, მსოფლმხედველობის შეუთავსებლობით გაბატონებულ კულტურასთან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სულიერ შეუთავსებლობას კულტურასთან ყოველ ეპოქაში ვხვდებით. მაგრამ, ეს მხოლოდ საზოგადოების უმცირესი ნაწილის – შემოქმედთა და ინტელექტუალთა „პრივილეგიაა“, რაც სავსებით ბუნებრივია ადამიანთა ასეთი კატეგორიისათვის. სწორედ აქ იკვეთება კონტრკულტურის არაიდენტურობა შემოქმედებითი უმცირესობის პროტესტთან. საქმე იმაშია, რომ კონტრკულტურის შემთხვევაში სულიერ შეუთავსებლობას განიცდის ადამიანთა ზუსტად ის ჯგუფი, ვისგანაც ეს, ჩვეულებრივ, მოსალოდნელი არ არის (60-იანი წწ. მაგალითზე – მაღალი და საშუალო ფენა).

ასე რომ, სიახლის დამკვიდრება კულტურაში ყოველთვის არ არის კონტრკულტურის შედეგი.

მაშასადამე, როდესაც ვსაუბრობთ კონტრკულტურაზე, მხედველობაში გვაქვს სულიერი შეუთავსებლობის გრძნობის შედეგად წარმოქმნილი მოვლენა, რომლის ანტიფასეულობები იქმნება როგორც ოპოზიცია უმრავლესობის კულტურისა დ არა ტრადიციებიდან გამომდინარე (ეს დამახასიათებელია სუბკულტურისათვის), რომელიც შეიძლება შექმნას მხოლოდ გაბატონებული კულტურის ნაწილმა და რომელიც იბრძვის დომინირებული ადგილის დაკავებისათვის.

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ სოციოკულტურული ფორმების მონაცვლეობა არ არის აუცილებლად კონტრკულტურის შედეგი, მაგრამ, საინტერესოა, არის თუ არა ისტორიაში ისეთი მოვლენები, რომელთა აღნიშვნასაც შევძლებდით ტერმინით „კონტრკულტურა“, თუ ეს მხოლოდ XX-ს-ისათვის გახდა დამახასიათებელი?

ამ კითხვის გაჩენისთანავე პირველი ასოციაცია აღიძრა ლაშა-გიორგისა და მის ჯგუფთან დაკავშირებით. ეს პიროვნება ყურადღებას იპყრობს იმდენად, რამდენადაც ვერ თავსდება მისი დროის თავისებურებებში და გარკვეული აუხსნელობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ლაშა-გიორგი საქართველოს ისტორიაში თითქმის ერთადერთი არაორდინალური მეფეა (ეს აღნიშნული აქვთ ივ.ჯავახიშვილს, პინგიროვსკას და სხვ.). იგი უგულვებელყოფდა დამკვიდრებულ, ტრადიციულ ფასეულობებსა და შეხედულებებს, იქნებოდა ეს რელიგია თუ უფლისწულისა და მეფის მიღებული სახე. ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს მეფეთა უმრავლესობა სრულყოფილ პიროვნებებს წარმოადგენდნენ, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს. ლაშა-გიორგის გაიდეალებას კი არც ერთ წყაროში არ ვხვდებით. ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე არის მეფის გამართლების მცდელობა საყოველთაო უკმაყოფილების ფონზე (იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც“ ვხვდებით ამ მეფის დადებითად წარმოჩენის მცდელობას, მაგრამ ეს ცნობები სანდოდ არ არის მიჩნეული). ჟამთააღმწერელი კი ფორმალობასაც არ იცავს ლაშასთან, როგორც მეფესთან მიმართებაში და საყვედურებით ავსებს მას. თუ ლაშა-გიორგის ჯგუფსა და არისტოკრატიას შორის დაპირისპირებას ჩვენ მივიღებთ მხოლოდ როგორც ბრძოლას ძალაუფლებისათვის, მაშინ უნდა გავიხსენოთ, რომ ადრე იგივე მიზეზით დაპირისპირებული ჯგუფები აბსოლუტურად იდენტურნი იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვით ამ შემთხვევაზე.

არ იქნება ზედმეტი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ისტორიისათვის, რის შედეგადაც, უეჭველია, მეტ დამაჯერებლობას მიიღებს ახლებური ინტერპრეტაციის ცდა.

ლაშა-გიორგის, როგორც დამოუკიდებელ მმართველს, პირველად ვხვდებით განძის მოვლენებთან დაკავშირებით. აქ უნდა გამორკვეულიყო – იყო ლაშა თამარის ტახტის ღირსეული მემკვიდრე თუ არა. ეს საკითხი უარყოფითად გადაწყდა. ლაშა-გიორგიმ არა მარტო დაარღვია ბრძოლის შემუშავებული გეგმა, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც უმეცარი საქციელი ჩაიდინა. ამისათვის საკმაოდ ძვირი საფასურის გადახდაც მოუხდა: დიდებულების ულტიმატუმის მოსმენის შემდეგ „ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთის მფლობელი“ იძულებული გახდა, ცხენიდან ჩამოქვეითებულს ბოდიში მოეხადა. ამის შემდეგ, ჟამთააღმწერლის მიხედვით, ლაშა-გიორგი „მიდრკა სიბოროტეთა თანამიყოლითა უწესოთა კაცთა“, „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და მეფისა წესითა მსწავლულნი, შეიყუარა თანამოასაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანაალრევად“ [4; 40, 41] ამას კვლავ მოჰყვება დამაფიქრებელი ულტიმატუმი– „არა თავს ვიდებთ შენსა მეფედ ყოფასა“ [4; 41] მეფე კვლავ ინანიებს და მორჩილების აღთქმას დებს: „აღარა ქმნა თჳნიერ მათისა განზრახვისა. დაღათუ ასრულებდა, არამედ ძლიერებდა მტერი უჩინო“ [4; 41] საბოლოოდ ამწვავებს ბრძოლას ლაშა-გიორგის სიყვარული ველისციხელი ქალისადმი და უარის თქმა კანონიერ ქორწინებაზე, რასაც მოჰყვა დიდებულთა საბოლოო დაპირისპირება – „არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს-თჳსად იყოფოდეს“ [4; 43] ეს, როგორც პ.ინგოროყვას აქვს აღნიშნული, ხდება 1221 წ., ლაშა-გიორგის მოულოდნელ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

ახლა კი ვცადოთ ამ ყოველივეს სხვა თვალით დანახვა. განძასთან ხდება პირველი დაპირისპირება ლაშა-გიორგისა და ივანე ათაბაგს შორის. ეს ორი სახელი შეიძლება ვიხმაროთ კრებითი მნიშვნელობით ორი, არა მარტო პოლიტიკური, არამედ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით დაპირისპირებული მხარის აღსანიშნავად. საინტერესოა, რომ განძის ექსპედიციის დროს, როგორც თამარის მეფობისას, მთავარსარდალი ისევ ივანე ათაბაგია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰყავს მეფე. ამდენად, ლაშა-გიორგის თვითნებური მანევრი შეიძლება მივიღოთ, როგორც ბრძოლის დასაწყისი თვითდამკვიდრებისათვის არა მარტო როგორც მეფისა, არამედ როგორც პიროვნებისაც. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ „ყოველთ მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მოშურნე“ ხელმწიფე „იქმოდა ავსა წესსა“. ვინ იყვნენ ეს „უწესო კაცები“, რომლებთან სიახლოვემ ასე გაუტეხა ლაშა-გიორგის სახელი, უკვე ჟამთააღმწერელთანაა დადგენილი. ესენი იყვნენ რინდები. მათი ვინაობის დადგენა მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს ლაშა-გიორგის მსოფლმხედველობის გაგების შესაძლებლობას იძლევა. რინდები, ერთი თვალსაზრისით, სუფიზმის მიმდევრები იყვნენ (ივ.ჯავახიშვილი და სხვ.). სხვა თვალსაზრისით, შუა საუკუნეებში თავის თავს რინდებს უწოდებდნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ოფიციალური სუფიზმის დოგმებს. ვ.გაბაშვილის მოსაზრებით, ჟამთააღმწერლის რინდები ვაჭარ-ხელოსანთა ქვედა ფენის წარმომადგენლები იყვნენ.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ ლაშა-გიორგისთან დაახლოებული რინდები? ალბათ, ამ შემთხვევაში, ვ.გაბაშვილის მოსაზრება უფრო მართებული უნდა იყოს. ჟამთააღმწერელი მათ მოიხსენიებს, როგორც „უწესო კაცნი“, „მეფის კარსა ზედა ყოფისა არა ღირსნი“, რაც აგრძელებს აღმოსავლური წყაროების ტრადიციას. თუ ლაშა უცხო რელიგიის მიმდევრებს დაუკავშირდებოდა და მათ პრინციპებს გაიზიარებდა, მას ალვირახსნილობაში კი არ დასდებდნენ ბრალს, არამედ სარწმუნოებრივ ღალატში. საყურადღებოა, რომ რინდებს თურქულ წყაროებში არა მარტო ზარხოშს, არამედ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანსაც უწოდებდნენ [1; 137]

აღმოსავლურ წყაროებში რინდის სინონიმური ტერმინები („ჯევანმარდი", „ალ-ფათა") განმარტებულია როგორც გულადი, ვაჟკაცი, სიტყვის არგამტეხი, სამართლიანი... გარდა ამისა, ჰაფეზი მათ თავზეხელაღებულ ადამიანებთანაც აიგივებს. ამგვარად, მეტნაკლებად გამოიკვეთა რინდის სახე. მაგრამ საფიქრებელია, რომ ლაშა-გიორგი რინდებთან დაახლოების შემდეგ კი არ გახდა ნონკონფორმისტული პიროვნება, არამედ პირიქით, სწორედ თავისი ნონკონფორმისტული ბუნების გამო დაუახლოვდა მათ.

ჟამთააღმწერლის „მტერი უჩინო" ლაშა-გიორგის სავსებით რეალური ცნობიერებაა, რომელიც ვერ ეგუება რეალობის მიერ წამოყენებულ პირობებს. ლაშა-გიორგისათვის, მისი წინამორბედი მეფეებისაგან განსხვავებით, სულ სხვა ფასეულობებს ენიჭებოდა მნიშვნელობა, რაც თამარ მეფის ეპოქის თავისებურებებით იყო გამოწვეული. ლაშას საზრუნავი არ იყო არც სამეფო ტახტის ძლიერება, არც ქვეყნის თავისუფლება (ლაშა-გიორგის „განლაღების" მიზეზად ჟამთააღმწერელიც ივივეს ასახელებს). შეიძლება ითქვას, რომ მან მემკვიდრეობით მიიღო ის, რისი მოპოვებისათვისაც დავით აღმაშენებელი მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა. ლაშა-გიორგის შემთხვევაში უკვე არა მეფედ ყოფნა განსაზღვრავდა პიროვნულ მიზნებს და იდეალებს, არამედ პიროვნული მეფისას. თამარის ეპოქაში შემზადებულმა წინაპირობამ შეცვალა ქართული საზოგადოების მხოლოდ ნაწილის ცნობიერება ლაშას და მისი ჯგუფის სახით. ამან გამოიწვია სულიერი შეუთავსებლობა გაბატონებულ ფასეულობით სისტემასთან, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ამ ჯგუფის ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. ყოველივე ეს გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ლაშა-გიორგისა და მის თანამოაზრეთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს კონტრკულტურულ მოვლენასთან. ამდენად, კითხვას-არის თუ არა კონტრკულტურა ისტორიაში XX ს-მდე, დადებითი პასუხი გაეცა.

◆


1. ვ.გაბაშვილი. ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ჟამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება)// ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. თბ., 1966 წ.

2.პ.ინგოროყვა. თხზულებათა კრებული ტ.1. თბ., 1963

3. თ.ნატროშვილი. მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991

4. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, თბ., 1987

5. ქართლის ცხოვრება ტ.1, თბ., 1955

6. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.III. თბ., 1966

7. Культурология XX век. Энциклопедия. т.2. Спб. 1998.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია მაქაცარია

თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის ასპირანტი

# უძველესი ქართული ქორეოგრაფიული პლასტები

( არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მიხედვით )

საქართველოს ქორეოგრაფიულ ხელოვნებას უძველესი ტრადიციები აქვს. ცეკვის წარმოშობა ჩვენში დაკავშირებულია, ადამიანთა განვითარების იმ ეტაპთან, როდესაც მათი საქმიანობა, მომხმარებლური მეურნეობა, ძირითადად ნადირობაზეა დაფუძნებული. ჯერ კიდევ კულტურის იმ ადრეულ საფეხურზე ცეკვის ხელოვნება უპირატესად დაკავშირებული ჩანს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, საწესო რიტუალებთან, რაც არ გამორიცხავს ესთეტიკური სიამოვნების ფაქტორსაც. საქართველოში ცეკვის ხელოვნების წარმოშობა-განვითარებაზე წარმოდგენას გვიქმნიან არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და წერილობითი წყაროები.



სურ. 1

მცხეთის მახლობლად მდებარე ნაქალაქარ სამადლოს არქეოლოგიური გათხრებისას კულტურულ ფენებში (ძვ.წ. IV-III საუკუნეები) აღმოჩენილია სამეურნეო დანიშნულების დიდი ზომის კერამიკული მოხატული ჭურჭლები (1, გვ.114), ნადირობის, ბატალური და სამხედრო ხასიათის ცეკვის ექსპრესიული სცენებით. როგორც ჩანს, ისინი მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ჭურჭლებია, ქვევრი და კრატერი (თაღარი), რომელსაც საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. მათი სიმაღლე 1,70 მ და 0,75 მ-ია. ქვევრის მოხატულობა სამი

ფრიზისაგან შესდგება (სურ.1). ზედა ფრიზზე წარმოდგენილია ნადირობისა და ბრძოლის სცენები. მეორე ფრიზი ორ ნაწილად იყოფა, ერთზე გამოხატულია გედისებურ ფრინველთა მსვლელობა, მეორე მხარეს კი მამაკაცთა ათკაციანი ჯგუფი ფერხულს ასრულებს (2,გვ.20). მათ ხელები ერთმანეთზე აქვთ ჩაკიდებული, ხოლო ფეხები ფერხულის სვლის პროცესშია (სურ.2).



სურ. 2

ეჭვგარეშეა, რომ იდეოლოგიურად სამადლოს ქვევრთანაა დაკავშირებული, ასევე წითელი საღებავით მოხატული მოზრდილი სწორძირიანი თიხის კრატერი, სამი ჰორიზონტალური სახელურით. მასზე გამოსახულია ნადირობის ამსახველი კომპოზიცია, სადაც მონადირეები შეიარაღებულნი არიან შუბებითა და მოკლე მახვილებით (2, გვ.19) და ფერხული ოთხი შემსრულებლით (სურ.3), ყოველივე ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ სამადლოს ფერხულები ნადირობის და ლაშქრობის სადიდებელ სახიობასთანაა დაკავშირებული. მოცეკვავე მამაკაცები შემოსილნი არიან წვეტიანი თავსაბურავებითა და საგულეამოჭრილი ტანისამოსით, ის ფაქტი, რომ მათ ხელები ჩაკიდებული აქვთ, ადასტურებს, რომ ისინი ფერხულს ასრულებენ, რომელიც გენეტიკური თვალსაზრისით უძველესია ცეკვათა შორის. საფერხულო წყობის უძველესი ქართული სახელწოდება, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული „ძნობა“ ყოფილა, ხოლო საფერხულო მწყობრს „მძნობარი“ ეწოდება (3, გვ.52). ამ ტერმინმა, მე-11 საუკუნემდე იარსება, მოგვიანებით „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია: მონადირენი „ლამპარსა ანთებულსა მხარსა შეიდებენ ეგრე მ რ გ ვ ა ლ ს ა დ ა ა ბ ა მ ე ნ “ (4, გვ.12) მე-14 საუკუნის ამ ძეგლში მოხსენიებული ტერმინის ახსნისათვის საინტერესოა, რომ სვანურად „მურგუალ“ ნიშნავს მთელს, ყოველს (5 გვ.154). სულხან-საბა ორბელიანს ფერხული - „მრგუალთ წყობა“-დ აქვს განმარტებული (6, გვ.354). აქედან გამომდინარე, მრგვალიც ფერხულის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინია. მითუმეტეს, რომ ფერხულისათვის დამახასიათებელია წრიული ფორმა.

თავად ტერმინი „ფერხული“ წარმოშობილი უნდა იყოს სიტყვისაგან - „ფერხი“. ეს გამოთქმა ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მაგ.: „თავით

ფერხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული“ (7, გვ.278). აღსანიშნავია აგრეთვე ფერხულის მეგრული და სვანური სახელწოდებანი, როგორებიცაა „კუჩხიში“ და „ჭიშხაში“, სადაც აღნიშნული ტერმინების ძირები „კუჩხი“ და „ჭიშხი“ ასევე ფეხს უკავშირდება (8, გვ.38).თ

ბიბლიოთეკა

სურ. 3



სპეციალისტების აზრით, ქართული ფერხულები, ფორმისა და შინაარსის მიხედვით, შემდეგნაირად დაიყოფიან: ფორმის მიხედვით არსებობენ - წრიული, წრე წრეში ჩასმული, ფერხული ფერხულს შიგნით მოთამაშით, ასევე ორი ან სამ სართულიანი ფერხულები (8, გვ.22).

შინაარსის მიხედვით ფერხულები იყოფა მონადირულ, რელიგიურ-რიტუალურ, საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ფერხულებად. რელიგიურ-რიტუალური შინაარსის საფერხულო მსვლელობაა წარმოდგენილი სოფ. ნიჩბისში აღმოჩენილ ძვ.წ.VIII ს. ბრინჯაოს სარტყელზე, მასზე გამოსახულია ცხოველის ნიღბოსან მამაკაცთა ცეკვის ორი მომენტი. ერთ შემთხვევაში ოთხკაციანი ჯგუფის ხელმოუბმელი, ერთი მეორის უკან მიწყობით მოძრავი ფერხული; მეორე შემთხვევაში - ორი მოცეკვავე კაცი ხელიხელჩაკიდებული,სახით ერთმანეთისკენ მიმართული, ერთი ბუქნში, მეორე კი მდგომში (სურ.4).



სურ. 4

საფერხულო წყობის წესის თანახმად ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახული მსვლელობა შეიძლება ჩაითვალოს „ფერხისას“ არატრადიციულ შესრულებად, რადგან სულხან-საბა ორბელიანი ფერხისას „მრავალთ მობმით“ ცეკვას უწოდებს (6, გვ.354). გამოდის, რომ „ფერხისა“ არის ფერხულისაგან განსხვავებით წრეშეუკვრელი, მრავალთ მობმული ფერხული, რომელსაც უფრო ხშირად მწკრივებად განლაგებული ერთი ან ორი მწყობრი ასრულებდა.

ფერხისა, ისევე, როგორც ფერხული ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უძველესი ფორმაა. საფერხისო წყობის საცეკვაო და სასიმღერო სანახაობათა

არსებობას წერილობითი წყაროები ადასტურებს. ჰომეროსის „ოდისეას“ XII სიმღერაში ნათქვამია, რომ „აიათა“-ში (კოლხეთში) ფერხულის კულტურა არსებობდა (9, გვ.151).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 5

ბერძენ ისტორიკოსს ეფორეს (ძვ.წ. 4ს.) ქართველთა ერთ-ერთი ტომის შესახებ ცნობა დაუცავს: „ტიბარენები გატაცებულნი არიან თამაშითა და სიცილით და ამას თვლიან უდიდეს ბედნიერებად“ (5 გვ.30) ძვ.წ.აღ. IV საუკუნის საქართველოში, რომ განვითარებული წყობის, სრულიად ორიგინალური საფერხულო, საცეკვაო და სასიმღერო სანახაობანი არსებობდნენ, ადასტურებს ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე, იგი აღწერს ომის დროს შესრულებულ ფერხისას; „მეომარი მოსინიკები ორ წყებად დაირაზმნენ, ერთი მეორის პირისპირ ქოროების მსგავსად.... ამის შემდეგ ერთმა მათგანმა წამოიწყო და დანარჩენებმა სიმღერით ფეხიააყოლეს... მღეროდნენ და ცეკვავდნენ რაღაც განსაკუთრებული წყობით“. ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქსენოფონტემ ქართველთა ტომის საფერხულო წყობა ბერძნულ ქოროებს მიამსგავსა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ მოსინიკთა ფერხული განსაკუთრებული წყობისაა (5, გვ.30).

საინტერესოა ისიც, რომ ძვ.წ. IV საუკუნისათვის დამოწმებულია ერთ ადგილზე მოძრავი ფერხულისაგან განსხვავებით, ადგილმონაცვლეობითი მგზავრული ფერხული, რაც საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდეა შემორჩენილი, ფშავში ვ. ბარდაველიძის ცნობით „ხალხი ფერხისას დააბამდა და გადმოჰყვებოდნენ დროშას ფერხისით. მანამდე ვაკე ადგილი იყო, ფერხისით მოდიოდნენ და მერე დაიშლებოდა ფერხისა“ (10, გვ.184). იმავე ქსენოფონტეს ცნობით, მესხების მეორე ტომს ჩვეულებად ჰქონია რომ როცა მტრებზე გაიმარჯვებდა, სიმღერასა და ცეკვას მიმართავდა, მისი თქმით გამარჯვებულმა მოსინიკებმა „მოკლულთ თავები დასჭრეს და თავისი მტრების და ბერძნების დასანახავად აღმართეს, თან ცეკვავდნენ და მღეროდნენ რომელიღაც სრულიად თავისებურ ჰანგზე... ისინი ცეკვას იწყებდნენ სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თითქოს სხვებისთვის უნდა ეჩვენებინათ თავიანთი ხელოვნება“ (5, გვ.31) ამ მცირე მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ცნობებიდან ირკვევა, რომ ძვ.წ. მე-4 ს-ში ქართველთა ტომებს ტიბარენებს და მოსინიკებს განვითარებული

სანახაობრივი ხელოვნება გააჩნდათ. ტიბარენები თუ თამაშობას ბედნიერებად მიიჩნევდნენ, მოსინიკები თავინთი სიმღერითა და საცეკვაო ხელოვნებით ამაყობდნენ და მის შთამაგონებელ ძალას გმირობისა და თავგანწირვისკენ აღმგზნებ ცხოველ ზემოქმედებას ომშიც იყენებდნენ. ეტყობა, მათი საცეკვაო და სასიმღერო წყობა იმდენად განვითარებული იყო, რომ ბერძენმა ისტორიკოსმა ბერძნული ქოროების მსგავსად მიიჩნია (5, გვ.31).



სურ. 6

სულხან-საბა ორბელიანს ქორო ანუ „ხორო“ - ქართული ფერხულის შესატყვისად აქვს განმარტებული; „ხორო - ბერძნულია, ფერხულსა ჰქვიან“ (6,გვ.458). ქსენოფონტეს მიერ შენიშნული მსგავსება ქოროსა და ქართულ საფერხულო წყობას შორის და საბას მიერ ბერძნულ ქოროს შესატყვისად ქართული ფერხულის მიჩნევა, შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს, როგორც ირკვევა, ძველ ქართულ სანახაობებში ფერხულს იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ქოროს ბერძნულ თეატრში; ხოლო ქორო, როგორც ცნობილია ბერძნული თეატრის დასაბამია და ლეგენდარულ თესპიტემდე დრამატულ მოქმედებას მარტოოდენ გუნდი - ქორო ასრულებდა (5, გვ.197).

ამდენად, თუ ბერძნული თეატრის დასაბამი ქოროა, ქართულ დრამატულ სანახაობათა დასაბამს ფერხული უნდა წარმოადგენდეს.

ქოროს მსგავსი წყობა შემონახულია უძველეს გუნდურ სარწმუნოებრივ ცეკვაში ადრეკილა. ფერხული ადრეკილა არის განაყოფიერების მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილი ცეკვა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბრინჯაოს ითიფალური ქანდაკებები. აღმოჩენილი საქართველოს მთიანეთში და სამცხე ჯავახეთში (აბასთუმნის მიდამოები სოფ. ზეკარი), დათარიღებული ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით (სურ. 5). ქანდაკებებისათვის დამახასიათებელია მოძრავი პოზა; მკაფიოდ გამოხატული ითიფალობა და ხარის რქის ატრიბუტი თავზე. თუ ვიმსჯელებთ გამოსახული ფიგურების ხელებისა და ფეხების მოძრაობის მიხედვით, ეს

ქანდაკებები, მართლაც ფერხულში მონაწილეთა გამოსახულება უნდა იყოს (11, გვ.73), რადგან ამ მცირე ზომის ქანდაკებებს ასევე წვეტიანი თავსაბურავები აქვთ, რომლებიც რქებს მოგვაგონებენ. აქაც გამოსახული უნდა იყოს ნაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაების სადიდებელი ფერხულის მონაწილეთა მთავარი პირები, შესაძლოა ქურუმები (12, გვ.97-98). ჩვენი დაკვირვებით ამ ქანდაკებათა თავებს ბევრი საერთო აქვთ ტრადიციულ ქართულ ბერიკულ ნიღბებთან. ნაყოფიერებასთან და შვილიერებასთან დაკავშირებულ მისტერიებში ყეენობაში დამახასიათებელი ატრიბუტი იყო წოწოლა, კონუსური ჩაჩები, წვეტიანი თხისბეწვიანი ცხოველთა ნიღბები და სხვ. (5, გვ.21).

გადაჭრით ძნელი სათქმელია, წარმოადგენდნენ თუ არა ეს ფიგურები ნამდვილად ფერხულის მონაწილეთა გამოსახულებებს. ფერხული გულისხმობს მონაწილეების მოძრაობათა იდენტურობას, ეს ქანდაკებანი კი ურთიერთისგან განსხვავებულ ინდივიდუალურ მოძრაობას გამოხატავენ. ამიტომ ჩვენ ისინი ერთმანეთთან კავშირში უნდა გავიაზროთ, ან ეს მცირე ზომის ქანდაკებანი გამომხატველნი უნდა იყვნენ ისეთი რიტუალურ-გუნდური ცეკვისა, რომელიც არ გულისხმობდა მონაწილეთა აუცილებელ თანაშეწყობილ მოძრაობას. შესაძლებელია ისიც, რომ ყველა ეს ქანდაკება ერთი განსაზღვრული ხასიათის ცეკვის შემსრულებელთა გამომსახველნი არიან, რაც მათი ითიფალობით დასტურდება.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის ხანის ამ ქანდაკებებში დიდი ნაირსახეობით არის წარმოდგენილი საცეკვაო მოძრაობანი და ილეთები, რომელსაც ვფიქრობთ თანამედროვე ქართულ ქორეოგრაფიაშიც ეძებნება პარალელები. ქანდაკებებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი ხელიხელჩაკიდებული მუხლებში მოხრილი მამაკაცის ფიგურა, რომელიც ზუსტად განასახიერებს საბრძოლო შინაარსის ძველ ქართულ ცეკვა - „ხორუმის“ ძირითად სვლას.

„ხორუმი“ ანუ „ხორონი“ საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის უძველესი ცეკვაა. იმერხეველებში იგი ცნობილია „დელი ხორუმის“ სახელწოდებით. რაც ნიშნავს ფერხულს ბუქნით - ხორუმში მტერთან შებრძოლების მთელი სურათი უსიტყვოდ, სხეულის მოძრაობით, რიტმით, ჟესტითა და მიმიკით არის გადმოცემული. მაგ.: ბრინჯაოს ფიგურა (სურ.5, I რიგის მარჯვნიდან I) გარკვეულწილად გამოხატავს დაზვერვის მომენტს, როცა წინამძღოლი მტერს უთვალთვალებს (13, გვ.99).

ქორეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა თრიალეთის ვერცხლის თასი (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები), რომელზეც ასახული მხეცისთავიან ნიღბოსანი 23 მამაკაცისაგან შემდგარი მსვლელობა დასახელებული ფიგურების მთელი წყება წარმოადგენს მხატვრულად გაფორმებულ ფრიზს, კომპოზიცია მხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენს (სურ. 6.). აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, თასზე წარმოდგენილი უნდა იყოს საფერხულო წყობის პროცესია, რომელსაც ნიღბოსანი მამაკაცები ასრულებდნენ (11, გვ.50). პ.უშაკოვის მოსაზრებით, თრიალეთის სასმისზე მელიისკუდიან ადამიანთა რიტუალური სცენაა, როსელთა თავები დაფარულია სტილიზებულ თხუნელათა ნიღბის ქვეშ მისი აზრით ამ სცენის სურათები ხეთისებურია და უნდა გამოხატავდეს გაზაფხულის ღვთაების ტელეფინუსისადმი თაყვანისცემას (14, გვ.111), ბ. კუფტინი არ უარყოფს მოსაზრებას, რომ თრიალეთის თასზე გამოსახულია რიტუალური პროცესია და პირველდაწყებით საფუძვლად, რაზეც ეს სურათები უნდა აღმოცენებულიყო, მას მგლის ტოტემი მიუჩნევია (15, გვ.90).

დ. ჯანელიძის აზრითაც თრიალეთის სასმისზე გამოსახული წყობა შეიძლება იყოს რელიგიურ-საცეკვაო რიტუალი ფერხულის ფორმით. მისი წყობა წრისებურია, ხელმოუბმელი, ერთი მეორის უკან მოწყობითი მოძრაობაა. ქართულ ხალხურ სანახაობათა შორის, ამგვარი საფერხულო წყობა შემონახულია

განაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ „ილის თამაშობასა“ და სვანურ „მელია ტულეფია“-ში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ნიღბოსანთა ქართული საფერხულო სანახაობების სათავე საქართველოს შორეული წარსულის საკულტო ცერემონიებსა და მისტერიებში იპოვება.

ამრიგად, ცეკვა მასობრივი ჯგუფური სიარულისაგან წარმოიშვა და ხელოვნების სხვა დარგებთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა სრულყოფილ ხელოვნებად (166 გვ.7).

ქართულმა ქორეოგრაფიამ პირველყოფილი მკაცრი, უხეში ფორმები საუკუნეების მანძილზე დახვეწა და ცეკვის თვითმყოფადი კულტურა შექმნა. ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები ქართული ქორეოგრაფიის გენეზისისა და განვითარების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან.

1. ლორთქიფანიძე გ., ჩიქოვანი ნ., ქართული კულტურის ისტორია, აბ., 1997
2. Гагошидзе Ю.М.. Самадло каталог. Тб.. 1981
3. ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ.,1938
4. ექ. თაყაიშვილი ხელიწიფის კარის გარიგება, თბ., 1920
5. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948
6. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928
7 რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი, თბ., 1963
8. თათარაძე ა. ტართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986
9. Гомер Одиссея (переавод Жуковского В.А.). 1959
10. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ძეგლები თბ., 1974
11. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ.I, თბ., 1944
12. Урушадзе Н. Древнегрузинское пластическое искусство. Тб.. 1988
13. გვარამაძე ლ., ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ.,
14. Ушаков П. Хетская проблема. თბ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, თბ. 1941
15. Куфтин Б.А.. Археологические раскопки в Триалети.кн. I. Тб..1941
16. Худеков С.Н.. История танцев. т.I. С.Пет..1912

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხოშტარია

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

# ოპიზის მონასტრის დაარსების თარიღისათვის

ოპიზის მონასტერს კლარჯეთის სახელგანთქმულ „ათორმეტ საყდართა" შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს – როგორც თავისი გამორჩეული ზომითა და არქიტექტურული გადაწყვეტის მასშტაბურობით, ისე რელიგიური და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით. ის არის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი მონასტერი, რომელმაც ასწლეულების მანძილზე მრავალ განსაცდელს გაუძლო, სანამ საბოლოოდ დაიცლებოდა XVII საუკუნეში.

ოპიზის მონასტრის დაარსების თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე საკამათოა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მატიანის პირდაპირი ცნობა ამის თაობაზე. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" მოგვითხრობს, რომ ვახტანგმა „იხილა კლდე შუა კლარჯეთისა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი. და მოუწოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და უბრძანა, რათა აგოს ციხე არტანუჯისა: და უბრძანა, რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ობიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა, და განაახლა ციხე ახიზისა, და ქმნა იგი ქუაბად" [1].

ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ ოპიზის მონასტერი ვახტანგ გორგასლის დავალებით გაუშენებია მის ძუძუმტეს – არტავაზს V საუკუნის II ნახევარში. ასეც აღნიშნავს ოპიზის დაარსების თარიღს მკვლევართა ერთი ნაწილი – პ.ინგოროყვა [2], ს.კაკაბაძე [3], ვ.ბერიძე (გარკვეული სიფრთხილით) [4], პ.ზაქარაია [5]. მეორე ნაწილს – ტ.ქექელიძეს [6], ლ.მენაბდეს [7], ვ.ჯობაძეს [8] – მატიანის მონათხრობი სარწმუნოდ არ მიაჩნია. ამ მკვლევართა არგუმენტაცია ასეთია: საქართველოში სამონასტრო მშენებლობა იწყება მხოლოდ ასურელი მამების ჩამოსვლის შემდეგ, VI საუკუნის შუახანებიდან. მანამდე ჩვენში მონასტრები არ არსებობდა. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" არ არის სანდო ისტორიული წყარო, ის უამრავ ლეგენდურ ეპიზოდს შეიცავს და V საუკუნეში კლარჯეთში მონასტრის დაარსების ამბავიც ერთი ასეთთაგანია.

ოპიზასთან დაკავშირებით ადრეული დათარიღების მოწინააღმდეგენი დამატებით აღნიშნავენ, რომ ზემოთმოტანილ ეპიზოდში კონკრეტულ მონასტერს („რომელ არს ოპიზა") ასახელებს „ქართლის ცხოვრების" მხოლოდ ერთი ნუსხა – ჭალაშვილისეული. სხვა ნუსხებში ზოგადად არის ნათქვამი, რომ არტავაზმა მონასტერიააშენა, ხოლო ორში – ანასეულსა და მაჩაბლისეულში ეს სიტყვა სულაც მრავლობით რიცხვში დგას („მონასტერნი"). ს.ყაუხჩიშვილმა ტექსტის გამოცემისას უპირატესობა სწორედ ჭალაშვილისეული ნუსხის ვარიანტს მიანიჭა. ის მართლაც უფრო ლოგიკური ჩანს – რაკი აღნიშნულია ციხეებისა და ეკლესიების სახელწოდებები (არტანუჯი, ახიზა, შინდობა...), დასახელებული უნდა იყოს

მონასტერიც. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ უკლებლივ ყველა ნუსხა შეიცავს ცნობას არტავაზის მიერ მონასტრის დაარსების შესახებ და, ამდენად, ის მოგვიანო ხანის გადამწერისა თუ რედაქტორის ჩანამატად ვერ ჩაითვლება.

ცნობა ვახტანგ გორგასლის დროს კლარჯეთში ჩატარებული აღმშენებლობის შესახებ ნაწილობრივ სხვაგანაც დასტურდება. იმავე მატიანეში, ახლადდაარსებულ საეპისკოპოსოთა ჩამონათვალში, ნათქვამია, რომ ვახტანგმა „დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა“ [9], რაც კარგად ეთანხმება წინა ცნობას ამ ეკლესიის აგების თაობაზე. არტანუჯის ციხის აშენებას ვახტანგ გორგასლის მიერ ადასტურებს ისეთი სანდო ქრონისტი, როგორიცაა სუმბატ დავითის-ძე („კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი“) [10]. მართალია, ინფორმაციას ოპიზის მონასტრის დაარსების შესახებ არცერთი სხვა წყარო არ იმეორებს, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნული დამთხვევები მთლიანად ამ ეპიზოდის სარწმუნოს ხდის.

რაც შეეხება საქართველოში სამონასტრო მშენებლობის დაწყების თარიღს, არ უნდა იყოს სწორი მისი დაკავშირება ჩვენში ასურელი მამების დამკვიდრების დროსთან. ასურელ მამათა მოღვაწეობამ საფუძველი დაუდო სამონასტრო მოძრაობის ფართოდ გაშლას და ბიძგი მისცა მრავალრიცხოვან სავანეთა აღმოცენებას, მაგრამ როგორც ბოლოხანს გამოვლენილი ფაქტები მოწმობს, მონასტრები (შესაძლოა, სულ რამდენიმე) საქართველოში მანამდეც არსებობდა. VI საუკუნის ერთი სირიული დოკუმენტი – ბეთ მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამძღვრის წერილი თავისი მოძმეებისადმი ცხადყოფს, რომ VI საუკუნის I ნახევარში საქართველოში უკვე ფუნქციონირებდა ტანას მონასტერი, რომელსაც გაბრამიშვილი დამაჯერებლად აიგივებს ატენთან [11] თუ არქეოლოგიურ მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, მონასტრის დაარსება V საუკუნის შუახანებს უნდა მივაკუთვნოთ.

ქართული მონასტიციზმის საწყის ეტაპზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მონასტრების სრულიად განსაკუთრებული როლი ადრეულ აღმოსავლურ ქრისტიანობაში. ლტოლვა სამონასტრო ცხოვრებისადმი დამახასიათებელია საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისათვის უკვე IV საუკუნეში და განსაკუთრებით V საუკუნიდან. ცნობილია, რომ ქართველები, რომლებიც ადრეული ხანიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს საერთო სულიერ ცხოვრებაში, მრავლად იყვნენ პალესტინის დიდ მონასტრებში და ზოგან (საბაწმინდაში, თეოდოსის ლავრაში, იერუსალიმში დავითის კოშკთან) საკუთარი ეკლესიებიც ჰქონდათ. ზოგიერთი ბერი ალბათ მთლიანად არ წყვეტდა კავშირს სამშობლოსთან, უკან ბრუნდებოდა (დროებით ან სამუდამოდ) და ხელს უწყობდა ბერ–მონაზვნობის იდეალების დამკვიდრებას საქართველოში. მეორე მხრივ, ქართლის ეკლესიის ბერძენი მღვდელთმთავრები ასევე დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ ქართლში მონასტრების აღმოცენებით. მ.თამარაშვილის მართებული შენიშვნით, „საფიქრებელია, სამონასტრო ცხოვრება V საუკუნეზე გვიან არ უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან კონსტანტინოპოლიდან ან ანტიოქიიდან გამოგზავნილ მოძღვართ არ შეეძლოთ ჭეშმარიტი რწმენის გავრცელების ასეთი მძლავრი საშუალების უგულებელყოფა“ [12] როგორც ჩანს, პირველი მონასტრები საქართველოში სწორედ მათი გავლენით დაარსდა და ისინი ბერძნული ტიპისა იყო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ მატიანეს თანახმად ვახტანგ გორგასალი პირდაპირ უთითებს არტავაზს „აღაშენოს ეკლესია და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“, ე.ი. ნიმუშად აიღოს მათ მიერ საბერძნეთში ნანახი მონასტრები (ამ

ეპიზოდს წინ უძღვის ვრცელი მოთხრობა ვახტანგის მცირე აზიაში ლაშქრობის შესახებ, რომელსაც თითქმის ყველა მკვლევარი ლეგენდურად მიიჩნევს, ისევე, როგორც მისი იერუსალიმში პილიგრიმობის ამბავს. ვახტანგსა და არტავაზს შესაძლოა არც არასოდეს ენახათ „მონასტერნი საბერძნეთისანი“, მაგრამ ადვილად შეეძლოთ მიეღოთ ცნობები მათ შესახებ ქართლში მრავლად მყოფი ბერძენი მღვდლებისაგან).

ამრიგად, ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი გვაქვს დავუჯეროთ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ს ცნობას ოპიზის მონასტრის აშენების შესახებ. ის, როგორც ჩანს, მართლაც V საუკუნის II ნახევარში დაარსდა და, ატენთან ერთად, ჩვენთვის ცნობილ უძველეს მონასტრად უნდა ჩაითვალოს ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე.


1. ქართლის ცხოვრება, I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 177–178.

2. პინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 303, 325, 340.

3. ს.კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბ., 1994, გვ. 399.

4. В.Беридзе. Архитектура Тао-Кларджети. Тб. 1981. გვ.18, 159.

5. П.Закарая. Зодчество Тао-Кларджети. Тб. 1990, გვ.67.

6. კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ., 1980, გვ. 88, 93, 147.

7. ლ.მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ.1, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ.385–386.

8. W.Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Savseti, Stuttgart, 1992, გვ.15–16.

9. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198.

10. იქვე, გვ. 377.

11. გაბრამიშვილი, ბეით მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამძღვარ თომას ეპისტოლე, სხსმ ნარკვევები, II, გვ. 64–70, განსაკუთრებით 67.

12. მ.თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 344–345.

ქეთევან სტურუა, ნანა ქადაგიძე
თსუ არქეოლოგიის კათედრის მეცნიერ თანამშრომლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს შავიზღვისპირეთის მეზოლითის ევროპული პარალელები

ახალი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე სულ უფრო აქტუალური ხდება კავკასიის და ევროპის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლა. კავკასიური კულტურული ელემენტების სპორადული გამოჩენა ევროპის არქეოლოგიურ ძეგლებზე უძველესი ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე ამ პრობლემის ინტერპრეტაციის აუცილებლობას ქმნის. ამ საკითხმა ჯერ კიდევ გასულ ათწლეულებში მიიქცია მკვლევართა ყურადღება. თავის დროზე ა.ფორმოზოვმა სცადა თვალი გაედევნებინა გეომეტრიული იარაღის კარტოგრაფიული მარშრუტისათვის კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ. მან ამ იარაღის გავრცელების სვლა–გეზად ჩრდ.დონეცისა და ვოლგის დინება მიიჩნია. ყირიმიდან უნდა მომხდარიყო მიკროლითური ტექნიკის გავრცელება აზოვისპირეთში (12,67). მისივე ვარაუდით კავკასიის ტომებს ამ პერიოდში მიგრაცია უნდა განეცადათ ვოლგისპირეთისა და დონის მიდამოებში და ამის დასტურად მან პოლტავის, ხარკოვისა და სარატოვის ოლქებში აღმოჩენილი ობსიდიანის ნაკეთობანი მიიჩნია, რომლებიც აქ კავკასიის ობსიდიანის საბადოებიდან უნდა ყოფილიყო მოხვედრილი (13; 36). მსგავსი გეომეტრიული იარაღი დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ლიტვასა და ნემანის დიუნებში, რომლებიც იმთავითვე პოლონეთის მეზოლითური კულტურის ანალოგიურად იქნა მიჩნეული. ცნობილია, რომ გეომეტრიული იარაღი წარმოადგენს დანისებურ ნუკლეუსებზე გაფორმებულ სეგმენტებსა და ტრაპეციებს. თავის დროზე ეს იარაღი მეზოლითის ეპოქის მთავარ მახასიათებლად იყო მიჩნეული, თუმცა მალე გაირკვა, რომ ამ ტიპის იარაღი არსებობას განაგრძობს ნეოლითის ეპოქაშიც. გადაისინჯა დებულება ამ იარაღის საყოველთაო გავრცელების შესახებაც. ამგვარი მასალა არ აღმოჩნდა დნეპრისპირეთის და დესნის მიდამოების თანადროულ ძეგლებზე. წარმოიქმნა ერთგვარი არქეოლოგიური წყვეტილი კულტურათა ტიპოლოგიურ თანმიმდევრობაში. ამის გამო კავკასიისა და ჩრდილო–აღმოსავლეთ ევროპის მეზოლითური კულტურები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, თავისთავად წარმონაქმნებად იქნა მიჩნეული (13, 46). თუმცა მაშინვე გამოითქვა მოსაზრება მეზობელ ტომთა კონტაქტების გზით ერთმანეთისგან დიდი მანძილით დაშორებულ რეგიონებს შორის კულტურულ–ელემენტების გადანაცვლების შესაძლებლობაზე (12, 64). ამ დებულების დასაბუთებად მიგვაჩნია გასულ ათწლეულში პოლონეთის დაბლობზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, რომელმაც გამოავლინა მეზოლით–ნეოლითის ხანით დათარიღებული ძეგლი „დები 29“.

იარაღთა კომპლექსიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ე.წ. „დების“ ტიპის ჩასართებს, რომელთა გაფორმებაში მთავარ როლს ირიბი სასაჭრისი ანატკეცი ასრულებს, რის გამოც ეს იარაღი აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას იჩენს ჩვენში გავრცელებულ სასაჭრისე ნუკლეუსებსა და კუთხის ნისკარტისებურ საჭრისებთან.

პოლონელი მკვლევარი ლ.დამანსკა „დების“ ტიპის ჩასართებთან ანალოგებს კავკასიაში, ყირიმსა და აღმოსავლეთ ევროპის ტყიანი ზონის თანადროულ კულტურებში ეძებს. მისი აზრით, ამ იარაღის თავდაპირველი წარმოშობის რეგიონი უნდა ყოფილიყო კავკასიის შავიზღვისპირეთი, საიდანაც იგი უნდა გავრცელებულიყო ზედა ყირიმში (ფრონტოვოე I, ლასპი VII). აქედან მდ.დნეპრის ხეობასა (რუდოი ოსტროვ, იგრენ) და აღმოსავლეთ ევროპის ტყიანი ზოლის გავლით ჯანისლავიჩეს კულტურებზე (21:17). „დების“ ტიპის იარაღი მოპოვებულ იქნა ბუგდნესტრის ადრენეოლითური კულტურის ძეგლებზეც (პოლეგოე, სოროკა). აქაური ნაწარმის ნიშნების მიხედვით მათი წარმომავლობა კავკასიის ნეოლითურ კულტურებში უნდა ვეძებოთ. ზედა ყირიმისა და კავკასიის მჭიდრო კონტაქტებზე მიუთითებს ლასპის სადგომზე აღმოჩენილი ძვლის იარაღი, რომლის უახლოესი ანალოგების მოპოვება კავკასიის გვიანმეზოლითურ კომპლექსებში შეიძლება. არაერთი ელემენტი მიუთითებს კუკრეკის კულტურის ორმხრივ კონტაქტებზე აღმოსავლეთ ევროპის ტყიანი ზოლის მეზოლითურ დასახლებებთან. ჯანისლავიჩეს კულტურის მიკროლითები დამახასიათებელია, აგრეთვე დნეპრის ხეობის (იგრენი) და ყირიმის (ალექსეევსკაია ზასუნა) თანადროული ძეგლებისათვის. „დების“ ტიპის ჩასართები მრავლადაა კავკასიის მეზოლითურ და ნეოლითურ სადგომებზე. პარალელის გასავლებად აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთის მეზოლითურ მასალას ჩრდილოევროპული სინქრონული კულტურების მსგავსად არ ახასიათებს სეგმენტისმაგვარი იარაღების სიუხვე, რომლებიც სხვაგან მიკროლითური ტექნიკის ერთ–ერთ ძირეულ ნაწარმს წარმოადგენენ. პოლონელმა მკვლევარებმა ჩაატარეს აგრეთვე კაჟის იარაღის გავრცელების კარტოგრაფიული ანალიზი, რომლის მიხედვითაც დასახეს ახლო აღმოსავლეთიდან გავლენის გავრცელების სავარაუდო მარშრუტი. მისივე აზრით, კავკასიის შავიზღვისპირეთის კულტურული კომპონენტი პირველად ჯანისლავიჩეს დასახლებებმა მიიღეს (21.17). ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ „დები 29“ მეზოლითურ ფენაში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა დომესტიკაციის ნიშნებზე მიუთითებს (21:20). შესაძლოა, კავკასიის შავიზღვისპირეთის ელემენტის შეჭრამ ევროპული ტყის ზონიდან ამ რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა და ხელი შეუწყო ნეოლითიზაციის პროცესს.

ამიერკავკასიის და ევროპის ურთიერთკავშირის პრობლემის შესწავლისას გამოითქვა მოსაზრება, რომ მტკვარ–არაქსის კულტურის მატარებელმა ტომებმა კავკასიიდან ევროპაში იმ გზით შეაღწიეს, რომელსაც უკვე ქვის ხანის ადამიანი იყენებდა (2:35). ჰქონდა თუ არა ადგილი ქვის ხანაში ადამიანთა მიგრაციას, რა მასშტაბებს მოიცავდა იგი, რა იყო ამ მიგრაციების მიზეზი, ხდებოდა თუ არა ამ მიზეზით კულიტურათა ასიმილაცია მაშინ, როდესაც შემგროვებლები სეზონური გადაადგილების პროცესში ერთმანეთს უცვლიდნენ ნედლეულს და უკვე დამზადებულ საგნებს (13:46), შეიძლება თუ არა ურთიერთკავშირი ისეთ დაშორებულ რეგიონებს შორის, როგორც კავკასია და ევროპაა ტომთაშორისი სავაჭრო კონტაქტებით შემოფარგლულიყო.

მეზოლითი, როგორც ცნობილია, ის პერიოდია როდესაც დაიწყო ადამიანის მიერ დაუსახლებელი ტერიტორიების ფართო ათვისება. მიგრაციებმა თავის დროზე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ანთროპოგენეზის პროცესში (15:57). დიდ გადასახლებებს უნდა დაუკავშირდეს არქეოლოგიური კულტურების არეალების გაფართოება–შემცირება, მათი კულტურული მახასიათებლების ტრანსფორმაცია (20:37). ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე მიგრაციები განპირობებული იყო სხვადასხვა

მიზეზით დამოკიდებული მოცემულ ტერიტორიაზე გაბატონებულ კონკრეტულ ეკონომიკურ ფორმაციაზე.

მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ ეპოქაში მასიური განსახლების მიზეზად ეკონომიკური ფაქტორი დომინირებს. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლამ და დემოგრაფიულმა აფეთქებამ უკანა პლანზე გადასწია ეკოლოგიური ფაქტორი. ხდება ადამიანთა დიდი ჯგუფების გადაადგილება ეკონომიურად დაწინაურებული მცირერიცხოვანი რაიონებიდან ფართო ტერიტორიებზე სადაც ჯერ კიდევ მითვისებითი მეურნეობა ბატონობს. ეს იწვევს მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას. პრინციპულ ცვლილებებს მეურნეობაში. სოციალურ სტრუქტურასა და კულტურაში.

ამგვარად შეიძლება აიხსნას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კულტურულელემენტების ანალოგების აღმოჩენა ისეთ დაშორებულ რეგიონებში როგორიც აღმოსავლეთ ევროპის დაბლობია. თუმცა ეს მოვლენა შესაძლოა. კონვერგენციასაც დავუკავშიროთ.


1. ო.ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბ., 1976

2. გ.ფანცხავა... გავალიშვილი. მტკვარ-არაქსის კულტურის ევროპული პარალელების საკითხისათვის. არქეოლოგიური კრებული. ტ.1. თბ., 1994

3. საქართველოს არქეოლოგია. ტ.1. 1991

4. ლ.წერეთელი. საქართველოს შავიზღვისპირეთის მეზოლითი. თბ., 1973

5. ლ.წერეთელი. კიდევ ერთი მეზოლითური ძეგლი საქართველოს შავიზღვისპირეთში. თბ., 1974

6. მ.გაბუნია. თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1976

7. ალ.კალანდაძე. ლ.წერეთელი. საქართველოს შუთ მთიანეთის ზოლის მეზოლითური ძეგლები. თბ., 1976

8. ალ.კალანდაძე. მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში". თბ., 1939

9. გ.მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობა. 1965

10. Археология СССР. Палеолит СССР. М. 1984

11. М.Габуния. Л.Церетели. Мезолит Грузии. "Краткие сообщения". 1977

12. А.Формозов. Из истории передвижений групп первобытного общества в эпоху минзолита.

13. В.Массон. Торговля и обмен в древнем обществеюю КСИА. №318. М. 1957

14.А.Формозов. Этнокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке. М. 1959

15.Н.Марперт. Миграции в эпоху неолита. СА. № 2. 1978

16. У.Брей. Д.Трампю Археологический словарью М. 1950

17. А.Мотгайт. Археология Западной Европы. М.1973

18. Д.Талегин. О критериях выделения мезолитических памятников на Юго-западе Европейской части СССР. М. 1983

19.Г.Кларк. Доисторическая Европа. М.1952

20. П.Черносвитов. Демографические и экономические процессы как факторы изменения археологических культур. СА. №3. М. 1985

21. М.Воеводский. Мезолитические культуры Восточной Европы. КСИИМК. XXXI. 1950

ზურაბ ბრაგვაძე, ზვიად კვიციანი
(ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები)
თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძევრის რომაული ხანის სამაროვნები

სოფელი ძევრი მდებარეობს თერჯოლის რაიონში, რაჭა-ქუთაისის საავტომობილო გზის 25-ე კილომეტრზე. სოფელს შუაზე ყოფს მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი, მცირე მდინარე ძევრულა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ძევრი ცნობილია საგვარჯილე კლდის გამოქვაბულით, რომელიც წარმოადგენს ქვის ხანის ერთ-ერთ უნიკალურ ძეგლს [1]. საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე პარალელურად გაითხარა გვიანრომაული ხანის სამაროვანიც [2], მაგრამ მისი მასალა დღემდე ფაქტიურად უცნობია. საგვარჯილეს გამოქვაბული მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ძევრულას მარცხენა ნაპირზე. 1997 წლიდან საქართველოს ხელოვნების სახელიწიფო მუზეუმის აღმოსავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია შეისწავლის ძევრულას მარჯვენა ნაპირზე, სოფლის დასავლეთით აღმართულ კორტების გორას. გამოვლენილია ძვ.წ. I ათასწლეულის ორფენიანი ნამოსახლარი და რომაული ხანის სამაროვანი. ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია ექვსი სამარხი. ერთი შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი (ქვევრსამარხის არქეოლოგიური მასალა) გადმოგვცა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელმა როლანდ ისაკაძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. მოპოვებული მასალები დაცულია ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში, კოლექციის ნომრით 20849.

სამაროვანი განთავსებულია კორტების გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე. სამარხები ფიქსირდება მიწის ზედაპირიდან 20-25 სმ-ის სიღრმეზე, რის გამოც ხშირია მათი შემთხვევით აღმოჩენის, ნგრევისა და არქეოლოგიური მასალის უკვალოდ გაქრობის შემთხვევები. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ კორტების გორა საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული და მშენებლობებს თუ მიწის სამუშაოებს, როგორც წესი, თან სდევს სამარხთა განადგურებაც. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, განადგურებულ სამარხთა რაოდენობა ორმოცს აჭარბებს. ამდენად, ძეგლის სრულად გათხრა საშური საქმეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემები არ იძლევა ფართომასშტაბიანი საქმიანობის წარმართვის საშუალებას.

შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ზომებსა და მიცვალებულის დაკრძალვის პოზის შესახებ ინფორმაცია ვერ მივიღეთ. როგორც მისმა უშუალო „გამთხრელმა", ძევრის მკვიდრმა ჯ.ფხალაძემ გადმოგვცა იგი წარმოადგენდა ქვევრსამარხს. სამარხი აღმოჩენილა რვა წლის წინათ. ერთი ბარის პირის სიღრმეზე. სავარაუდოა, რომ არქეოლოგიური მასალის ნაწილი გააყოლეს გადანაყარ მიწას. გადარჩენილია შემდეგი ინვენტარი:

საკიდები ზარაკები (3 ცალი), ბრინჯაოსი, კონუსის ფორმის, გოფრირებული. h - 2 სმ. d-2.5 სმ. (სურ. 1).

საკიდი, ბრინჯაოსი, ორმხრივ მორკალულ ღეროზე მარყუჟზე შეკიდულია წიწოვანი ორნამენტით შემკული ღერო. h-6 სმ. (სურ. 1).

საკიდი, ბრინჯაოსი, ფოთლისებური ფორმის (სურ. 1)

საკერებელი, ვერცხლის, კონუსის ფორმის, შემკულია წერტილოვანი ხაზებით. d -4 სმ (სურ.1).

ვერცხლის ბეჭდის თვალბუდე, ოვალური ფორმის, ქარვის თვლით (სურ.1).

ვერცხლის ბეჭდის ორი თვალბუდე, ოვალური ფორმის, გიშრის თვლებით (სურ.1).

ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებული, თავებგადახვეული სამაჯური. d-6 სმ. (სურ.1).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

მონეტა, ვერცხლის, სეპტიმუს სევერუსის. ავერსზე გამოსახულია გვირგვინოსანი, გრძელწვერა სეპტიმუს სევერუსი პროფილში. წარწერა დაზიანებულია (სურ.2). რევერსზე გამოსახულია არგეის მთა მწვერვალითა და კამკაშა ვარსკვლავით. წარწერა წაშლილია. განირჩევა მხოლოდ ETIC (სურ.3).

ბრინჯაოს ოვალური, სადაზედაპირიანი ფირფიტა, დანიშნულება გაურკვეველია (სურ.1).

სამარხი №1 - აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. სიგრძე 120 სმ. სიგანე 50 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ (სურ.4).

სამარხში აღმოჩნდა:

მშვილდსაკინძი, რკინის, ორნაწილადი (სურ.5). პასტის, კირქვისა და გიშრის მძივები (სურ.5), დოქი, მოწითალო ფერის, მრგვალპირიანი, დაბალყელიანი, დაქანებულმხრებიანი, მრგვალძირიანი. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. აღდგენილია ნაწილობრივ. h-21 სმ. პირის d-4 სმ. ძირის d-8 სმ. კეცის სისქე - 5 მმ. (სურ.5).

სამარხი №2 - მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. სიგრძე 130 სმ. სიგანე 70 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ (სურ.6). სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი (სურ.7). გიშრის, პასტისა და კირქვის მძივები (სურ.7), რკინის ძლიერ დაზიანებული მოგვალძირიანი. დამზადებულია განლექილი თიხით. h-30 სმ. პირის d-5 სმ. ძირის d-12 სმ. კეცის სისქე 5 მმ. (სურ.7).

სამარხი №3 - აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სიგრძე 160 სმ. სიგანე 80 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ (სურ.8). სამარხში აღმოჩნდა რკინის ძლიერ დაშლილი დანა (სურ.9) და მსხვილმარცვლოვანი თიხით დამზადებული ჩაფის ფრაგმენტები (სურ.9).

სამარხი №4 - მიწის ზედაპირიდან 35 სმ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა ქვაყრილი. მისი ზომები იყო: სიგრძე 150 სმ. სიგანე 90 სმ. (სურ.10). ქვაყრილში აღმოჩნდა დოქი. ქვაყრილის აღების შემდეგ გამოჩნდა მიწაში ჰორიზონტალურად ჩადგმული ქვევრი. სიგრძე 180 სმ. სიგანე 120 სმ. ქვევრს პირზე მიფარებული ჰქონდა რიყის ბრტყელი ქვა (სურ.11). ქვევრსამარხში დაკრძალული იყო მიცვალებული მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ (სურ.12). გამოვლინდა შემდეგი ინვენტარი: დოქი (აღმოჩნდა ქვაყრილში), რუხი ფერის, სწორტანიანი, ოვალურძირიანი. აკლია პირ-ყელისა და გვერდის ნაწილი. დამზადებულია ქარსმინარევიანი თიხისაგან. h-23 სმ. პირის d-5 სმ. ძირის d-12 სმ. კეცის სისქე 5 მმ. (სურ.13).

საყურეები, ვერცხლის, ორი ცალი, თანაბრადმორკალულ ღეროზე მირჩილულია ბურთულები. d-1 სმ. (სურ.14). საკიდები, ორი ცალი, ძვლის, ნისკარტის ფორმის (სურ.14). საკიდი, მინისებური პასტის, ლურჯი ფერის. h-1 სმ. (სურ.14). საკიდი ბრინჯაოსი, ჯაჭვის ფორმის (სურ.14). გიშრის, მინის, მინისებური პასტის, მთის ბროლის, კირქვის მძივები (სურ.14). საკერებელი, ვერცხლის, კონუსის ფორმის,(სურ.14). მშვილდსაკინძი, ვერცხლის, ორწილადი, აქვს ბრინჯაოს ენა, დაწახნაგებული ღერო შემკულია სამკუთხედების ორნამენტით (სურ.14). ვერცხლის ბეჭედი, ოვალურ ბუდეში ჩასმულია სარდიონის სადა თვალი (სურ.14). ბრინჯაოს სამაჯური (სურ.14), რკინის ძლიერ დაშლილი დანა (სურ.14).

სამარხი №5 - აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ფრაგმენტი.

სამარხი №6 - აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. წარმოადგენდა ქვევრსამარხს, მაგრამ ნაწილობრივ დანგრეული იყო. დაკრძალვის პოზა ვერ დაფიქსირდა. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ორწილადი მშვილდსაკინძი (სურ.14). კირქვის, პასტის, კირქვისა და მოზაიკური კირქვის მძივები (სურ.15). ინტალიო, სარდიონის თვალზე ამოკაწრულია ეტლში შებმული ხარი, ეტლზე მამაკაცია (სურ.16).

ამ სამარხების გარდა, მივაკვლიეთ კიდევ ორი დანგრეული სამარხის კვალს. მათგან გადარჩენილი იყო მხოლოდ თითო დოქი. ისინი გადმოგვცა ძევრისის მკვიდრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა













ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 14



სურ. 15

სურ. 16





სურ. 17



სურ. 18

ბ.მეფარიძემ. მანვე გვიჩვენა სამარხების აღმოჩენის ადგილები. რის საფუძველზეც დავრწმუნდით, რომ დოქები მხვადასხვა სამარხებიდან მომდინარეობდა. გადმოცემული მასალისა და მოწოდებული ინფორმაციისავის ბ.მეფარიძეს მადლობას ვუხდით. ისიც გავარკვიეთ, რომ საქმე გვაქვს ორმოსამარხების ინვენტართან.

დოქი, მოწითალო ფერის, დაბალყელიანი, მრგვალკორპუსიანი და მრგვალძირიანი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის გვირგვინზე და მხარზე. დოქის კორპუსი დეფორმირებულია. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. h-17 სმ. პირის d-6 სმ. ძირისმ d-10 სმ. ძირის d-12 სმ. (სურ.18).

კორტების გორის სამაროვანი ის იშვიათ არქეოლოგიურ ძეგლთა რიგს მიეკუთვნება, სადაც ერთად, გვერდიგვერდ არის ფიქსირებული ქვევრსამარხები და ორმოსამარხები. ასეთი ვითარება დადასტურებულია ბიჭვინთასა [3] და სამთავროზე [4]. მართალია, ამ ძეგლებისგან განსხვავებით ძევრში არ არის გამოვლენილი სამარხთა მრავალფეროვანი სახეობები (კრამიტსამარხები, ამფორასამარხები და სხვ.) და არც არქეოლოგიური მასალაა ერთი შეხედვით, ფართო ასორტიმენტის, მაგრამ შუა იმერეთში ამ ტიპის სამაროვნის აღმოჩენა უკვე თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. საერთოდ, იმერეთის რეგიონიდან მომდინარე რომაული ხანის სამაროვნების სიმწირის ფონზე ძევრის უკვე აღმოჩენილ და მომავალში მოსალოდნელ აღმოჩენებს შეუძლიათ ბევრი სიცხადე შეიტანოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევის საქმეში.

კორტების გორის სამარხები ახლო ანალოგიებს პოულობს საქართველოს II-III სს-ის არქეოლოგიურ სამარხებთან (სამთავრო [5], განძა [6], კლდეეთი [7], ურბნისი [8], კახეთი [8], ჩხარი [10], იცქისი [11] და სხვ.), რის გამოც ვფიქრობა, რომ ისინიც II-III სს-ით (უფრო კი, III ს-ის I ნახევრით) უნდა დათარიღდეს. არქეოლოგიური გათხრები ძევრში, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად გრძელდება და იმედია, მომავალი აღმოჩენები კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ძევრის ადგილსა და როლს რომაული ხანის საქართველოს კულტურის ისტორიაში.

---


1. საქართველოს არქეოლოგია, ტ.I. თბ.1991
2. რ.ფუთურიძე, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II. 1959
3. გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ.1991
   ზ. კვიციანი - დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის. თბ.1997
4. მცხეთა III. თბ.1980
5. მცხეთა III
6. ს.მაკალათია - 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. ტ.IV,1928. გვ.182-186.
7. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ.1955
8. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ.1964
9. ზ. ბრაგვაძე, ჩხარის სამაროვანი, თბ.1977
10. ნ. მამაიაშვილი, ბეჟანბაღის ორმოსამარხი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. IV. 1980
11. ქ. ჩიგოგიძე, იცქისის სამარხები, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. ტ.III. 1998

თემურ ბიბილური (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი), ნუკრი მაისურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი მცხეთა და უბანნი მისნი

ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომში დაცულია ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ცნობა. მემატიანე გვაუწყებს: ალექსანდრე მაკედონელმა „პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრჴე, მოკიდებული კლდესა ლადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისას, რომელსა ჰქუიან ჭოროხი, ორბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე და ციხე-დიდი, ზანავი, უბანი ჰურიათა...“ [1]

„მეფეთა ცხოვრებაში“ დაცულმა ამ ცნობამ, განსაკუთრებით მისმა ერთმა ნაწილმა („... დიდი მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე და ციხედიდი, ზანავი, უბანი ჰურიათა...“) მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია [2]

წერილობით წყაროებში სარკინე, ციხე-დიდი და ზანავი, რამოდენიმე გზისაა ნახსენები სხვადასხვა მოვლენებთან კავშირში: ქაიხოსროსაგან დევნილ თურქთა 28 სახლიდან, ქართველებმა, „განიყუანეს ყოველსა ქალაქთა შიგან. ხოლო უმრავლესნი მათგანი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი, მცხეთის დასავლით კერძო, კლდეთა შორის მოკუეთილი, ღრმა და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“ [3] მცხეთელმა მამასახლისმა, უბედობისგან გამოხვეწილი ებრაელები „...დასხნა არაგუსა ზედა, რომელსა ჰქჳან ზანავი...“ [4]

„მოქცევა ქართლისა“-ს მიხედვით ზანავში დაუსახლებიათ არა ებრაელები, არამედ ჰონები“ [5]

ამრიგად, ნარატიულ წყაროთა ცნობებით, მცხეთასა და მის შემოგარენში, უცხო ეთნოსით კომპაქტურად დასახლებული სამი უბანი გამოიყოფა: სარკინე, ციხე-დიდი და ზანავი. ამასთან, ციხე-დიდი (სარკინესთან ერთად) ჯერ თურქთა (ბუნ-თურქთა) დასახლებაა, ხოლო ქართლის სამეფოს მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღების შემდეგ ებრაელთა. გავიხსენოთ, დედაქალაქის მოსახლეობის ქრისტეს სჯულზე მოქცევის დროს „...ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ იღეს, გარნა ბარბიანთა ნათელ-იღეს ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ. ამისთჳსცა დიდ იქმნეს იგინი წინაშე მეფისა, და მიუბოძა მათ დაბა, რომელსა ჰქჳან ციხე-დიდი“ [6] ციხედიდში, მატიანეთა წინამავალი ცნობებით, უკვე სახლობენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები. საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, მეფე მირიანი ებრაელებს ასახლებს მათ გვერდით (მათ შორის), თუ იქ მცხოვრებნი, ისევ და ისევ რელიგიური მოტივით, გადადიან სხვაგან (მსგავსად მცხეთელ ებრაელთა დიდი ნაწილისა)?

გამოდის, რომ ახ.წ.IV ს. 30–40-იანი წლებიდან მაინც, ციხე-დიდში გაჩნდა ებრაელთა დასახლება. ანუ მატიანეთა ჩვენებით, დედაქალაქში დროის სხვადასხვა მონაკვეთში არსებობდა ებრაელთა ორი, სხვა უბნებისაგან გამორჩეული დასახლება – ზანავსა და ციხე-დიდში.

ებრაელთა ხალხმრავალი ჯგუფების დასახლება ქართლის სამეფოს დედაქალაქსა და მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებში შემთხვევითი არაა. დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია ის, რომ ქართლის სამხრეთ

აღმოსავლეთელი მეზობლის–სომხეთის ქალაქებში ებრაელები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ [7]. იგივე შეიძლება ითქვას მცირე აზიის ქვეყნებზეც [8].

წერილობითი წყაროების მონაცემებით ირკვევა, რომ ებრაელები დიდი მცხეთის სხვა უბნებშიც ცხოვრობენ. ასე მაგალითად, მათი გარკვეული ჯგუფი ცხოვრობს კარისანში (თხრობა ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის შესახებ). „ნინოს ცხოვრებასა" და „მეფეთა ცხოვრებაში" არაერთგზის მოხსენიებული ელიოზის სახლი „იყო ქალაქსა დასავლითასა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა" [9]. იგივე ინფორმაციას, ოდნავი სახეცვლილებით, იმეორებს ლეონტი მროველი [10].

დიდი მცხეთის უბანთა ჩამონათვალში არ არის ირანელთა (სპარსელთა) უბანი, თუმცა რამდენჯერმე ნახსენები როგორც ამ ეთნოსის წარმომადგენელთა დედაქალაქს მოსვლა–დასახლება, ასევე მათი საკულტო ადგილი (მოგუეთა, მოგვეთი, მოგვთა კარი და ა.შ.), რომლის დაარსების დროსაც კი გვაწვდის ჩვენი მემატიანე: ფარნაჯომმა „ამის შემდგომად შეიყუარა სჯული სპარსთა ცეცხლისა– მსახურება; მოიყუანეს სპარსეთით ცეცხლის–მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქუიან მოგუთა" [10]. ამრიგად, მემატიანის ცნობით, მაზდეიანთა საკულტო ცენტრი ქვეყნის დედაქალაქში გაჩენილა ძვ.წ.II საუკუნის შუა ხანებიდან.

მოგვთა და საზოგადოდ, მაზდეური კულტურის მსახურთა დასახლების სახით, „საქმე უნდა გვქონდეს უბნად გამოყოფის სოციალურ საფუძველთან..." [12]; ანუ სხვაგვარად, მოგუეთა ეს არის სატაძრო, სახელდობრ, ცეცხლთაყვანისმცემელთა რელიგიური ცენტრი (მსგავსად „ბაგინი ჰურიათა" მცხეთასა და ურბნისს". ამასთან, ცენტრი რომელიც ფუნქციონირებდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. გავიხსენოთ, ურბნისიდან დედაქალაქს მოსული ნინო ხიდის მეორე მხარეს მდგომი „ხედვიდეს ცეცხლის–მსახურთა მათ ერთა მოგუებასა და ცთომასა" [13], ან კიდევ, „მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის–მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ებისკოპოზად ბინქარან, დასხდნენ მოგუეთას" [14].

ამრიგად, ჩვენი მემატიანეები დიდი მცხეთის უბნებიდან აშკარად გამოჰყოფენ მათ, რომლებიც კომპაქტურადაა დასახლებული ამა თუ იმ უცხო, არა ავტოქთონი ეთნოსით. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ უცხო ეთნოსები, თუნდაც იგივე ებრაელები, დიდი მცხეთის მხოლოდ ნახსენებ უბნებში ცხოვრობდნენ. გავიხსენოთ, „ქაიხოსროსაგან დევნილი თურქების საერთო რაოდენობიდან ნაწილი" განიყუანეს ყოველთა ქალაქთა შიგან..." [15], ფარნავაზმა „ჰრომნი ათასი მჴედარნი... განყუნა ქუეთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად" [16]; ებრაელთა გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს მცხეთის სხვა უბნებშიც (იხ.ზემოთ). მცხეთაში ცხოვრობენ ბერძნებიც– ვიცით აგრეთვე აქილი, აქილევსი, პლატონი, არმენებიც, ასურებიც და სხვ. მაგრამ მემატიანეთა ჩამონათვალში ისინი ვერ მოხვდნენ. ამ ეთნოსებს არ ჰქონიათ ქვეყნის დედაქალაქში მჭიდროდ დასახლებული ეთნიკური ნიშნით გამორჩეული უბნები.

---

1. ლეონტი მროველი. „ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა" ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ ტ.1. თბილისი. სახელგამი. 1955 წ., გვ. 16, 17. ქვემოთ ყველგან ქც.1

2. აღნიშნული სადისკუსიო საკითხის შესახებ ყველა მკვლევარის მოსაზრება და სრული ბიბლიოგრაფია მოცემულია ნაშრომში: თ. ბიბილური. ებრაელი თემები ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე. ნაწ.1. თბილისი. 1991 წ. ხელნაწერი ინახება მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

3.ქც. 1. გვ.15

4. იქვე. გვ. 15. 16

5. მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. რედ. მ. შანიძე. გამ. „მეცნიერება“. თბილისი. 1979 წ.. გვ. 320

6. ქც. 1. გვ. 116. 117. შედრ. „მოქცევაჲ...“. გვ. 347.

7. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ.აბდალაძემ. გამ. „მეცნიერება“. თბილისი. 1984 წ.. გვ. 115. 205. 206; შდრ. Еремян С.Т. Развитие городов и городской жизни в древней Армении. ВДИ. 1953. № 3. с.14-16. 24. 25

8. Д-ръ Генрихъ Грещъ. История Евреев от древнейших времен до настоящего. Т.4.Перевод с немецкого языка д-ра ПюКаменецкого и Б.Ландау. Одесса. 1905. с.270-273 и др.

9. „მოქცევაჲ...“. გვ. 347

10. ქც. 1. გვ. 95. 101

11. იქვე. გვ. 29.

12. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1964 წ.. გვ. 137

13. ქც. 1. გვ. 98

14. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქც. 1. გვ. 145

15. ქც. 1. გვ. 15

16. იქვე. გვ. 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

**DZEGLIS MEGOBARI**

Scientific-Popular Journal

Abstract

## Roman Apakidze

**To the Criticism of Culture Crisis Theory**

The article is concerned with the 20th century theories of culture crisis. The author does not share the theories which consider this crisis to be a pre-stage of cultural decay. Parallels with cultural crisis of the previous period are drawn. The author thinks that difference between the recent crisis of the European culture and its previous analogies lies in the fact that in the past one socio-cultural system was replaced by another, while at present it is replaced by a multitude of systems.

## Nana Pirtskhalava, Nino Chikovani

**Problem of Contacts Between Civilizations and Georgia**

According to the authors, history of Georgia is a struggle filled with hope, torture and endless disappointment, directed to the obtaining of the right for integration into Europe.

## Anna Mgeladze

**Lesly Whyate's Interpretation of Culture Phenomenon**

The article deals with the viewpoint of Lesly Whyate, famous American anthropologist on the essense of culture, showing direction of study of the culture phenomenon, which had preconditioned present actuality of his works.

## John Tsereteli

**A.G. Toynbe's "Challenge-response" Theory and Problems of Development of Georgian Society**

The author tries to connect A.G. Toynbe's theory with the historical development of Georgian society. He thinks that the main stimulus for this development was a

challenge of severe human environment rooted in its function, i.e. geographical location. Everything else were efforts of approaching this challenge.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## Maia Kvrivishvili

**To the perception of Georgian Renaiscence Against the Background of J. le Goff's Concept**

The article is focused on the discussion of the viewpoint on the Medieval European Renaiscence, provided by J. le Goff, one of the prominent representatives of the "Annal" school. Against the background of the above mentioned concept, the author tries to give new interpretation to some issues linked with the problem of Georgian Renaiscence.

## Tamar Kakitelashvili

**Contrculture – Essense of the protest of Lasha-George and His Group**

The author puts forward a question, whether contrculture belongs to the $20^{th}$ century, whether is it paralleled in the history. Namely, the case of Lasha-George and his friends is discussed. The author considers the former to be a contrcultural phenomenon in relation to its contemporary culture.

## Ia Makatsaria

**Oldest Georgian Choreographic Layers According to the Archaeological and Literary Sources**

The article is concerned with the oldest representations of Georgian choreography provided by the archaeological material – silver bowl from Trialeti (mid $2^{nd}$ mill BC), bronze belt from Nichbisi ($1^{st}$ mill BC), Ychyphalic statues (mid $1^{st}$ mill BC), clay crater from Samadlo. Likewise quoted is the evidence provided by the Greek historiography. Based on the above mentioned sources, the author touches upon the genesis and development of Georgian choreography.

## David Khoshtaria

**To the Date of Foundation of Opisa Monastery**

The author puts forward his viewpoint that an evidence provided by the "Vita of Vakhtang Gorgasali" on building Opisa monastery in the second half of the $5^{th}$ c does coincide with the reality and Opisa is one of the oldest monasteries in South-western Georgia.

## Ketevan Sturua, Nana Kadagidze

**European Parallels of Georgian Mezolithic Samples from the Black Seacoast Area**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Authors' attention was drawn by a publication of the Polish archaeologist dedicated to "Debi-29" – a monument dated to the Mezolithic-Neolithic Age. The so called "Debi" type tools unearthed there show certain affinity with the similar elements discovered on the territory of Eastern Black Seacoast. A proportion of dissenuination of the material from the Caucasus to Eastern Europe is put forward. Authors try to provide a proof to the possibility of human migration from the Caucasus southwards, which was preconditioned by economic and ecological factors.

## Zurab Bragvadze, Zviad Kvitsiani

**To the Zevri Roman Age Burialground**

Mentioned sculpture is located in West part of Georgia. Article discusses archaeologic material of the burialground, which is analogous to the Georgian burilagrounds of 2nd 3rd centuries: Samtavro, Gandza, Kldeeti, Urbnisi and etc. Authors date Dzevri burialground also to 2nd 3rd centuries.

## Temur Bibiluri

**Great Mtskheta and its Quarters**

Based on the oldest Georgian chronicle, the author discusses an issue of settlement of representatives of different ethnos and religion (eg. Jews, Greeks, Asirians, etc.) in different quarters of Mtskheta, capital of Iberia. the author states that not all of them had ethnically distinguished quarters in the capital.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

1. რომან აფაქიძე
კულტურის კრიზისის თეორიის კრიტიკისათვის 3

2. ნინო ფირცხალავა, ნინო ჩიქოვანი
ცივილიზაციათა კონტაქტის პრობლემები და საქართველო 7

3. ანა მგელაძე
კულტურის ფენომენის ინტერპრეტაცია ლესლი უაიტთან 11

4. ივანე წერეთელი
ა.ჯ. ტოინბის „გამოწვევა–პასუხის" თეორია და ქართული საზოგადოების განვითარების პრობლემები 14

5. მაია ქვრივიშვილი
ქართული რენესანსის გააზრების საკითხებისათვის ჟ. ლე გოფის მეცნიერული შეხედულების ფონზე 17

6. თამარ კაკიტელაშვილი
კონტრკულტურა: ლაშა–გიორგი და მისი ჯგუფის პროტესტის შინაარსი 20

7. ია მაქაცარია
. უძველესი ქართული ქორეოგრაფიული პლასტები 24

8. დავით ხოშტარია
იშხნის მონასტრის დაარსების თარიღისათვის 31

9. ქეთევან სტურუა, ნანა ქადაგიძე
საქართველოს შავიზღვისპირეთის მეზოლითის ევროპული პარალელები 34

10. ზურაბ ბრაგვაძე, ზვიად კვიციანი
ძევრის რომაული ხანის სამაროვანი 37

11. თემურ ბიბილური, ნუკრი მაისურაშვილი
დიდი მცხეთა და უბანნი მისნი 43

- ანოტაციები ინგლისურად 46

თბილისი, შავთელის 5/7

ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58

ასლგადამღები აპარატურა

პრინტერები

ფაქსები

კომპიუტერები

საოფისე ავეჯი

დიზაინი

XEROX & HEWLETT PACKARD

ოფიციალური წარმომადგენელი